# მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2024-2027

სამუშაო ვერსია

*[4 დეკემბრის სამუშაო ვერსია]*

## შინაარსი


**შესავალი........................................................................................................................3**

დოკუმენტის არსი, მიზანი და მნიშვნელობა, მოქმედების ვადა.........................................3

დოკუმენტის შემმუშავებელი მუნიციპალიტეტი, შემუშავების პროცესი – უწყება, სამუშაო ჯგუფი, მონაწილე სტრუქტურული ერთეულები................................................................................ 4

დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.................................................... 4

დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან...............................................................................5

დოკუმენტის შემუშავების პროცესი.............................................................................................5

**თავი I - არსებული სიტუაციის ანალიზი......................................................................................5**

ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა........................................ 6

მუნიციპალიტეტის ეკონომიკა....................................................................................................... 11

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა......................................................................................26

ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა................................................................................. 30

განათლება, კულტურა და სპორტი............................................................................................ 34

გარემოს დაცვა.................................................................................................................................37

მუნიციპალური სერვისები და მმართველობა.............................................................................46

**SWOT ანალიზი.............................................................................................................48**

**თავი II – ხედვა, მიზნები, ამოცანები და აქტივობები.......................................................... 52**

ხედვა.................................................................................................................................................. 52

მიზნები, ამოცანები და აქტივობები...............................................................................................52

**თავი III – დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.............................. 59**

განხორციელების მექანიზმი – სამუშაო ჯგუფი და წევრები.........................................................59

მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო...........................................................................................60

დოკუმენტის დაფინანსება.............................................................................................................. 61

**თავი IV – დაინტერესებული მხარეების ჩართულობა........................................................... 62**

დანართები...............................................................................................................................................63

ცხრილები, ილუსტრაციები........................................................................................................... 63


**დააფიქსირეთ თქვენი აზრი:** აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით საკუთარი აზრის (კომენტარის) დასაფიქსირებლად, გთხოვთ მიჰყვეთ ბმულს:

→ https://forms.gle/1iBtwxgx4zX1BugZ8

სამუშაო ვერსია

# შესავალი

## დოკუმენტის არსი, მიზანი და მნიშვნელობა, მოქმედების ვადა

მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტს და განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებებს მომავალი 4 წლის განმავლობაში.

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა თანამონაწილეობითი მიდგომით, მისი შემუშავებისას გამოყენებულ იქნა არსებული მონაცემები და მტკიცებულებები, სოციოლოგიური და დარგობრივი კვლევები. მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვის ჩამოყალიბებისთვის გაანალიზდა არსებული საჭიროებები, შეფასდა შესაძლებლობები და განვითარების პოტენციალი და შესაბამისად შემუშავდა ხედვის მისაღწევი მიზნები და ამოცანები.

მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარ პოლიტიკის დოკუმენტს, საშუალოვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ადგილობრივი საზოგადოების ხედვას, მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი ითვალისწინებდა მაღალ სამოქალაქო აქტივობას და ინტერესთა ყველა ჯგუფის შეხედულების გაანალიზებას. სწორედ, თანამონაწილეობით პრინციპის გამოყენებით შემუშავდა დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს კომპლექსურ მიდგომას გააერთიანოს სხვადასხვა მხარეების ინტერესები, მოსაზრებები, პრიორიტეტები და პრობლემების გადაჭრის გზები, განვითარებისა და პროგრესის საზიარო მიზნის მისაღწევად.

დოკუმენტის შემუშავების პროცესის ინიციატორი იყო მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც ჩამოაყალიბა დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი დაგეგმვის სამუშაო და ტექნიკური ჯგუფები. აღნიშნულმა ჯგუფებმა იხელმძღვანელეს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 განკარგულებით განსაზღვრული სახელმძღვანელოს მოთხოვნებით, რითაც უზრუნველყოფილ იქნა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. დოკუმენტზე მუშაობის პროცესში ჩართული იყო როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ასევე კერძო ბიზნესის წევრები. პროცესში ჩაერთნენ ქალები, ახალგაზრდები, შშმ პირები და ყველა დაინტერესებული მხარე.

## დოკუმენტის შემმუშავებელი მუნიციპალიტეტი, შემუშავების პროცესი – უწყება, სამუშაო ჯგუფი, მონაწილე სტრუქტურული ერთეულები

მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა. მერის ბრძანებით (#ბ.134.134230405) განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, საკრებულოს წევრები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის წარმომადგენლები.

დოკუმენტის მომზადებისას სამუშაო ჯგუფი მართავდა შეხვედრებს, განიხილავდა არსებულ სიტუაციას, გადიოდა კონსულტაციებს სამოქალაქო და ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სპეციალისტების ფართო სპექტრთან, მათ შორის ადგილობრივ ახალგაზრდებთან, პედაგოგებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. დოკუმენტი მომზადდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და მონაწილეობით.

დოკუმენტი ტექნიკურად მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის ინიცირების ტექნიკურმა ჯგუფმა ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით.

## დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

მესტიის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, ასევე, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს.

ამავე კოდექსის თანახმად, მერი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენასა და განხორციელებას. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და ამტკიცებს ადგილობრივი სტრატეგიებს, პროგრამებსა და გეგმებს, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის არსებობის მნიშვნელობა, ასევე ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ დეცენტრალიზაციის 2020- 2025 წლების სტრატეგიაში.

ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 განკარგულება და ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული სახელმძღვანელოს მოთხოვნები.

სამუშაო ვერსია

## დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან

მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მისი კომპეტენციები გამიჯნულია ცენტრალური ხელისუფლებისგან, თუმცა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, საკუთარი პოლიტიკის დაგეგმვისას, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენისას, გასათვალისწინებელია ჰარმონიზაცია ეროვნული, სექტორული პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრატეგიული ან სამოქმედო სახის დოკუმენტებთან.

დოკუმენტის შედგენის პროცესში განხილულ და გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფოში მოქმედი შემდეგი პოლიტიკის დოკუმენტები:

- სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 - „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“
- საქართველოს მაღალმთიანი დასახლებებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027
- საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025
- 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია
- საქართველოს შრომისა და დასახლების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია
- საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია
- ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგია

## დოკუმენტის შემუშავების პროცესი

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადების პროცესი წარიმართა მონაწილეობითი მიდგომით, რომელიც ითვალისწინებდა დოკუმენტის შედგენისათვის მნიშვნელოვანი ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას.

# თავი I - არსებული სიტუაციის ანალიზი

## ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა.

მესტიის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. მესტიის ადმინისტრაციულ ერთეულს აღმოსავლეთით

სამუშაო ვერსია

ლენტეხის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, ჩრდილოეთით - დიდი კავკასიონის ქედი და რუსეთის ფედერაცია (ყაბარდო-ბალყარეთი), სამხრეთით წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები, დასავლეთით კი აფხაზეთი[1].

მესტია საქართველოში ყველაზე მაღალმთიანი, მცირემიწიანი და ტერიტორიულად ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია. რეგიონი შედგება 17 ადმინისტრაციული ერთეულისგან, რომელთაგან სამი - იდლიანი, ჭუბერი და ხაიში მდებარეობს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან. მისი ფართობი 307.49 ათ ჰა-ს შეადგენს. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 94.3 ათ ჰა უკავია, რაც მთელი ტერიტორიის 30.9%-ია, ხოლო 129.17 ათასი ჰა (42%) კი ტყეს უკავია[2].

მესტიიდან თბილისამდე მანძილი 477 კმ-ია, ქალაქ ზუგდიდამდე კი, სადაც უახლოესი სარკინიგზო სადგური მდებარეობს - 138 კმ. უახლოესი საპორტო ქალაქი ფოთი მესტიიდან 226 კმ-შია. მესტიის ცენტრიდან სამთო სათხილამურო კურორტ თეთნულდამდე მანძილი 15, ხოლო ჰაწვალის კურორტამდე 8 კმ-ია. მესტიის აეროპორტი დ. მესტიის ცენტრიდან 2 კმ-ში მდებარეობს.

მესტიის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია 1 დაბის და 160 სოფლის ტიპის დასახლება, რომლებიც გაერთიანებული არიან 1 სადაბო და 16 ადმინისტრაციულ ერთეულში. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

*რუკა #1. მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია (2018)*




მესტიის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 11 575 ადამიანს (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 9,316

---

[1] წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია, 2017

[2] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ადამიანს, რაც საქართველოს მოსახლეობის 0,25%-ია.)[3], მათ შორის 5785 ქალი, 5790 კაცი. მათგან დაბაში ცხოვერობს 2613 (22%), ხოლო 8962 (78%) ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. დაბაში მცხოვრები ქალების რაოდენობა შეადგენს 1408, კაცების - 1205; სოფლად მცხოვრები ქალების რაოდენობა 4377-ია, ხოლო კაცების 4585.

*ცხრილი #1. მოსახლეობის რიცხოვნობა საქალაქო–სასოფლო დასახლებების მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტში (1 იანვრის მდგომარეობით / ათასი).*

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | **9.7** | **9.5** | **9.5** | **9.5** | **9.5** | **9.5** | **9.5** | **9.4** | **9.4** | **9.4** | **9.3** |
| საქალაქო დასახლება | 2.0 | 2.0 | 2.0 | 2.0 | 1.9 | 1.9 | 1.9 | 1.9 | 1.9 | 1.8 | 1.8 |
| სასოფლო დასახლება | 7.6 | 7.5 | 7.5 | 7.5 | 7.6 | 7.6 | 7.6 | 7.6 | 7.6 | 7.6 | 7.5 |

2022 წელს საქსტატის მონაცემების მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტში დაიბადა 133 ბავშვი, აქედან დაბაში - 38, ხოლო სასოფლო დასახლებაში - 95. ბოლო წლების განმავლობაში დაიკლო მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელმა, მოსახლეობის მატება კი ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უკან დაბრუნების პროცესით.

*დიაგრამა #1. შობადობის მაჩვენებელი 2013-2022 წწ.*[4]




[3] წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია, 2017

[4] წყარო: საქსტატი

საქსტატის მიხედვით მედიანური ასაკია 37, მათ შორის ქალი - 41, კაცი - 34. 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში არის 17.4. მოსახლეობის ასაკის დატვირთვის კოეფიციენტი კი 62.6. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2017-2022 წწ.) სტაბილურად რჩება ერთ დონეზე. სტაბილური ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვეც: ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და 2023 წლის 1 იანვრის საქსტატის მონაცემებით შეადგენს 3,1 კაც/კვ.კმ-ზე, მაშინ როცა მთელი ქვეყნის მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე 65,3 კაცია. შესაბამისად, მესტია მოსახლეობის სიმჭიდროვის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მეჩხერად დასახლებული მუნიციპალიტეტია და 21-ჯერ ჩამოუვარდება ქვეყნის საერთო მაჩვენებელს.

მესტიის მუნიციპალიტეტში 2012-2021 წლებში ფიქსირდება მიგრაციის დადებითი დინამიკა. კერძოდ, 2012-2021 წლებში მესტიის მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა 109 ოჯახი. რაც შეეხება იმავე პერიოდში ემიგრაციის მაჩვენებელს, მესტიის მუნიციპალიტეტიდან გადავიდა 19 ოჯახი. შესაბამისად, მიგრაციის სალდო უდრის 90-ს.
მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იღებს სახელმწიფოს სოციალურ შემწეობას. 2023 წლის ივნისის მდგომარეობით სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური მონაცემების მიხედვით : ა) სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია 1922 ოჯახი - 7110 პირი; ბ) პენსიის მიმღები გახლავთ 2028 პირი; გ) შშმ პირთა რაოდენობა არის 349, მათ შორის ეტლით მოსარგებლეთა რაოდენობა - 20; დ) მარჩენალდაკარგულია 96 პირი.

გეოლოგიურად ზემო სვანეთის ქვაბულის ძირი, რომელსაც ენგურის ხეობის ფსკერი შეესაბამება, მეოთხეული ნაფენებითაა წარმოდგენილი. მდინარე ენგურის ქვემო წელში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ზედა და შუა იურული პორფირიტები, ქვიშაქვები და ფიქლები. მესტიის მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო მთის კლიმატია. ჰავის ტიპები მუნიციპალიტეტის ფარგლებში ჰიფსომეტრიულად იცვლება ზომიერად ნოტიო ხეობის ტიპის კლიმატიდან მაღალმთის მკაცრი კლიმატის ჩათვლით. არათანაბრად განაწილებულია რაიონის ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექები. საშუალო წლიური რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს ზემო სვანეთის თხემურ ნაწილებში (2000-2500 მმ.წელიწადში), ხოლო მინიმალური რაოდენობა გვხვდება დაბა მესტიის ქვემოთ მდ.ენგურის მიმართულებით და შეადგენს 800-1000 მმ-ს წელიწადში.

მესტიის მუნიციპალიტეტში გვხვდება ბუნებრივი საფრთხეები, რასაც განაპირობებს მისი გეოლოგიური აგებულება, რთული ტექტონიკა, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი და სპეციფიკური კლიმატურ-მეტეროლოგიური პირობები. რეგიონისთვის დამახასიათებელია ისეთი მოვლენები, როგორიცაა მეწყერი, ზვავი, ქვათაცვენა, ღვარცოფი, წყალმოვარდნა და მდინარეების ადიდება.

მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა უახლოეს პერიოდში დასრულდება. არსებობს აგრეთვე მულახის ადმინისტრაციული ერთეულის განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც მულახის 11-დან 10 სოფელში მიღებულია და დამტკიცებულია საკრებულოს დადგენილებით.

მესტიის მუნიციპალიტეტის დაახლოებით 70–80 % ტყიან ლანდშაფტებს უჭირავს. ქედების და მათი განშტოებების თხემური და მიმდებარე ტერიტორიები სუბალპური და ალპური მდელოებითაა წარმოდგენილი. ტყის ჯიშთა შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასიური გავრცელებით სარგებლობს მარადმწვანე ჯიშები: ნაძვი და სოჭი. ფრაგმენტების სახით გავრცელებულია ფიჭვნარებიც. მეზოფილურ ჯიშთა შორის აღსანიშნავია: რცხილა, წიფელი, მუხა, ჯაგრცხილა,

ნეკერჩხალი. ფრაგმენტალურად გვხვდება არყნარიც. წარმოდგენილია მარადმწვანე ტყეც. ჭყორისა და ბაძგის მონაწილეობით სუბალპურ ზონაში გვხვდება „დეკიანის“ კომპლექსი (ურუშაძე,2013). რეგიონის მცენარეულობა მეტად მრავალფეროვანია, მათ შორის სამკურნალო მცენარეებიც, რომლებიც უფრო ველურად მზარდი არიან და მოიპოვებიან მოსახლეობასთან ახლოს ან ტყეებში. ფლორის გარდა რეგიონს მრავალფეროვანი ფაუნა აქვს, მათ შორის ძუძუმწოვრები, თევზები, ამფიბიები, რეპტილიები და ფრინველები.

მუნიციპალიტეტში არსებობს და შესწავლილია წიაღის (ლითონები, არალითონები, წყალი) 336 საბადო, მათგან მოქმედია მხოლოდ 24 ლიცენზიანტი (იხ. დანართი #1). რეგიონში მოიპოვება არალითონების 11 ძირითადი საბადო: მესტიის საბადო (ტრავენტინის მარაგი: 78000 მ$^3$), მესტიაჭალის (ქვიშა-ხრეშის მარაგი: 3148000მ$^3$), ხაიშის (ბარიტის მარაგი: 75000 ტონას), ჯორკვალის (გარბო-დიაბიზის მარაგი: 926300მ$^3$), მულახის (ქვიშა ხრეში), დიზის (მარმარილოს მარაგი: 523600მ$^3$), ლენჯერის (კირქვის მარაგი: 996000 ტონა), უშგულის (მთის ბროლი) და ჭუბერის (მარმარილოს მარაგი: 5444000მ$^3$). ამათ გარდა რეგიონში მოიპოვება ლითონების 13 ძირითადი საბადო.

რეგიონის მთავარი მდინარე ენგურია, მისი შენაკადები - ადიშისჭალა, მულხრა, დოლრა, ნენსკრა, იფარი, ხაიშურა და სხვ. (*MDF, 2014*). მუნიციპალიტეტში მდებარე მდინარეები: ენგური, მესტიაჭალა, ნენსკრა, და სხვა საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ რესურსს წარმოადგენენ.

მესტიის ადმინისტრაციულ ერთეულში 200-მდე მყინვარია, რომელთა საერთო ფართობია 285 კვ.კმ (*MDF, 2014*). ზემო სვანეთი მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე. კავკასიონის აღნიშნულ ნაწილში თავმოყრილია ამ მთიანი მასივის მაღალი მწვერვალების უმრავლესობა, მათ შორის შხარა (5203 მ) თეთნულდი (4858 მ) უშბა (4700 მ) ტიხტინგენი (4617 მ) შხელდა (4368 მ) და სხვ. (*UNDP Georgia, 2014*).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს და შესწავლილია წიაღის 336 საბადო, ამათგან მოქმედია 25 ლიცენზიანტი, მათ შორის გვხვდება ლითონების 3, არალითონების 19 და წყლის 3 საბადოდან წიაღისეულის მოპოვება.

რეგიონში უხვად მოიპოვება მტკნარი წყლები და მინერალური წყლები, რომლებიც სამკურნალო თვისებებით ხასიათდებიან (იხ. დანართი 2). მინერალურ წყლებს აქვთ როგორც განსხვავებული ქიმიური შემადგენლობა, ასევე სხვადასხვა სამკურნალო თვისებებიც. მაგ. მინერალური წყლებიდან რამდენიმე კურნავს თვალის, კანის, კუჭის, ღვიძლის დაავადებებს და ა.შ. დაბა მესტიაში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, კვედილაშის მჟავე წყალი მეოცე საუკუნის 50-70-იან წლებში გამოიყენებოდა, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

მაღალმთიან მესტიის მუნიციპალიტეტში, მზის რადიაციული გამოსხივების მაღალი ინტენსიობის გამო, განახლებადი ენერგიის რესურსებს შორის დიდი პოტენციალი აქვს მზეს. მზის ენერგიის ათვისების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ბევრად უფრო სუფთა და გარემოსთვის უსაფთხოა, ენერგიის სხვა წყაროებთან შედარებით, რადგან მისი გამოყენების შედეგად არ ხდება სათბურის ეფექტის მქონე აირების ატმოსფეროში ემისია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კლიმატის ცვლილების პროცესში გარემოზე დამაზიანებელ ზეგავლენას.

აფხაზეთის ომის (1992-1993 წლებში) შედეგად, მესტიის მუნიციპალიტეტის 3 ადმინისტრაციული ერთეულის, კერძოდ: ხაიშის, ჭუბერისა, იდლიანის 17 სოფელი აღმოჩნდა საოკუპაციო ხაზთან 10 კილომეტრიან რადიუსში, რის გამოც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 22.38% უსაფრთხოებისა და სოციალურ–ეკონომიკური ხასიათის დამატებითი გამოწვევების წინაშე დგას.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2022 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სტრუქტურებში დასაქმებულია 1135 პირი, კერძო სტრუქტურაში 1322 პირი, თვითდასაქმებულთა რაოდენობა 2197-ს შეადგენს, 2020 წლის მონაცემების მიხედვით შრომისუნარიანი მოსახლეობის 73% დასაქმებულია. უმუშევრობა კი 27%-ია. შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი 60%-ია.

2022 წლის მონაცემებით მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი (444 აღსაზრდელი), 25 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (1701 მოსწავლე). საბავშვო ბაღი ხელმისაწვდომია ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, გარდა კალის ადმინისტრაციული ერთეულისა. საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს იფარის თემის სოფელ ჰადიშში, წვირმის თემის სოფელ იელიში და ხაიშის თემის სოფ. ვედში. როგორც ჰადიში, ასევე იელი და ვედი მოშორებულია ადმინისტრაციულ ცენტრს 9 კმ-ით და მეტით.

მესტიის მუნიციპალიტეტში 2024 წლის მანძილზე იგეგმება ბოჭკოვანი ინტერნეტის კაბელის შემოყვანა დაბა მესტიამდე, რაც მოიცავს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრამდე ინტერნეტიზაციას (ხაიშიდან ზემოთ). ამჟამად ინტერნეტის მთავარი წყარო ქსელური ინტერნეტია, რომელსაც სატელეკომუნიკაციო კომპანიები - ,,მაგთი", ,,ჯეოსელი" და ,,სელფი" უზრუნველყოფენ, თუმცა, ხასიათდება დაბალი ხარისხითა და სიჩქარით. განსაკუთრებით მწვავედ იკვეთება ეს პრობლემა დაბისგან მოშორებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მესტიის მუნიციპალიტეტში 2023 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით არ ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, თუმცა 2024 წლის გაზაფხულიდან მუნიციპალიტეტს მოემსახურება 3 ერთეული 8 მეტრიანი საზოგადოებრივი ავტობუსი, რომელიც პირველ ეტაპზე მოემსახურება დაბა მესტიასა და ხაიში-მესტიის მონაკვეთზე მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებს.

მესტიის მუნიციპალიტეტი 2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით თანამშრომლობს შემდეგ დაძმობილებულ ქალაქებთან, მუნიციპალიტეტებთან და რეგიონებთან: თურქეთის რესპუბლიკის ფინდიქლის მუნიციპალიტეტი, უკრაინის ქალაქები: უკრაინკა და სლავსკე, ასევე უკრაინის ობუხოვის რაიონი, ესპანეთის ბერგუედას რეგიონალური საბჭო და ლიეტუვის რესპუბლიკის ტელშაის მუნიციპალიტეტი.

## მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი წამყვანი დარგებია: ენერგეტიკა, ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. ჩამოთვლილ სფეროებს ამ თავში ცალ-ცალკე განვიხილავთ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტში დასაქმება (იხ. დანართი 3) და ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა (იხ. დანართი 4) მზარდია.

მესტიის მუნიციპალიტეტში 2702 ერთეული ეკონომიკური სუბიექტია რეგისტრირებული, მ.შ.-ის მოქმედია - 772, ხოლო ახლადრეგისტრირებული - 226.

მესტიის მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს პირველ რიგში ეკოლოგიურად სუფთა გარემო და ასევე ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობა. მესტიის კონკურენტული უპირატესობებიდან, აგრეთვე ნიშანდობლივია ბუნებრივი რესურსები, განსაკუთრებით ჰიდროლოგიური რესურსი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ არის ეფექტურად ათვისებული. რაც შეეხება ხე-ტყის გადამუშავებას, მოცემული დარგი მესტიის მუნიციპალიტეტში მეტად განვითარებულია, თუმცა არსებობს განვითარების დამატებითი სხვადასხვა შესაძლებლობები, როგორიცაა მაგალითად ხე-ტყის წარმოებიდან მიღებული ნარჩენების გადამუშავება და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემო სვანეთში მოპოვებული ხის მასალა გადის ექსპორტზე თურქეთის რესპუბლიკაში. აგრეთვე, ექსპორტზე გადის მუნიციპალიტეტში გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილიც.

მესტიის მუნიციპალიტეტს კონკურენტული უპირატესობა გააჩნია აგრეთვე ტურიზმში. მისი შესანიშნავი ბუნებრივი ლანდშაფტები და უნიკალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა მიმზიდველია საერთაშორისო და ადგილობრივი ვიზიტორებისთვის. ზემო სვანეთი შედის UNESCO-ს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში უშგულის სოფ. ჩაჟაშით, რომელიც „მთის პეიზაჟის განსაკუთრებული მაგალითია შუა საუკუნეების ტიპის სოფლებით და კოშკებით“[5]. მესტიაში არსებობს სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის უნიკალური მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია სვანეთის უმდიდრესი ეთნოკულტურული მემკვიდრეობა.

აღსანიშნავია, რომ მესტიაში ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ეკონომიკური განვითარებისთვის არის **არასტაბილური ენერგო მომარაგება.** 2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში არ არის სტაბილური და სანდო ელექტროენერგიის მიწოდება უზრუნველყოფილი, რაც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის გაუმართაობით. ერთ-ერთი მიზეზი კი, რის გამოც ვერ ხერხდება ელექტროენერგიის სრულფასოვანი და შეუფერხებელი მიწოდება, მათ შორის ინფრასტრუქტურის განახლება მესტიის მოსახლეობისთვის ისაა, რომ ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დღემდე გარკვეული მიზეზების გამო მესტიის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს ელექტროენერგია მიეწოდება უფასოდ. შესაბამისად, დღესდღეობით, ვინაიდან არ ხდება ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, ვერ ხერხდება ინფრასტრუქტურის განახლება და ელექტროენერგიის მიწოდების სისტემის გაუმჯობესება. გამომდინარე იქიდან რომ ელექტრო ენერგიის მოხმარება საოჯახო მეურნეობებისთვის უფასოა, მოსახლეობის მხრიდან არ ხდება დაზოგვა და საოჯახო მეურნეობების ენერგოეფექტური დაგეგმვა. ამასთან, მესტიის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით 2010 წლის შემდგომი პერიოდიდან ტურიზმის სექტორის აქტიურმა ზრდამ ხელი შეუწყო ელექტროენერგიაზე მოთხოვნის მკვეთრ მატებას. კერძოდ, გაჩნდა მრავალი საოჯახო სასტუმრო, რის შედეგადაც მოიმატა ელექტროენერგიის სისტემაზე დატვირთვამაც. ამ პრობლემას ართულებს ისიც, რომ უფასო ელექტროენერგიის პრაქტიკა მიმზიდველი გახდა კრიპტოვალუტების მოპოვების

[5] წყარო: UNESCO. https://whc.unesco.org/en/list/709/

მიზნით მაინინგით დაკავებული პირებისთვის, რამაც კიდევ უფრო გადატვირთა ელექტროენერგიის სისტემა. მოცემული პრობლემატიკა საერთო ჯამში ურყოფითად აისახება ტურიზმის სექტორზე და გვევლინება ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემაფეხრებელ ფაქტორად.

არსებული სურათის უკეთ დასანახად, იხილეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამა (#2) მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტროენერგიის მიღების მოცულობა 2013-2022 წლებისთვის და ასევე მოხმარების ზრდის ტრენდი.

*დიაგრამა #2. მესტიის მუნიციპალიტეტის ელექტროენერგიის მიღება კვსთ (2013-2022)*




აგრეთვე, იხილეთ დიაგრამა #3, რომელშიც მოცემულია მესტიის მუნიციპალიტეტში მიღებული ელ. ენერგიის ღირებულება არსებული ტარიფებით 2013-2022 წლებში.

*დიაგრამა #3: მესტიის მუნიციპალიტეტი: მიღებული ელ.ენერგია ლარებში არსებული ტარიფებით.*




დიაგრამები აჩვენებს მუნიცპალიტეტში მოხმარებული ელექტროენერგიის ჯამური მაჩვენებლების უკიდურესად მზარდ ტრენდს როგორც მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის მიხედვით, ასევე თანხობრივად.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში წარმმართველი და ყველაზე მეტად განვითარებული **ტურიზმის** სექტორია, რომელიც ძირითადად სათავგადასავლო, სპორტული (სათხილამურო და მთამსვლელობის), კულტურულ-შემეცნებითი, გასტრონომიული და ეკო მიმართულებით ვითარდება. მესტია თავისი ბუნებით და სანახაობებით ძალიან მიმზიდველია ადგილობრივი და უცხოელი დამსვენებლებისთვის. ტურისტული პერიოდი წლის ოთხივე სეზონს მოიცავს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ სასტუმროების დატვირთვის მაჩვენებელი მკვეთრად სეზონურია. სასტუმროების დატვირთვა ზაფხულის სეზონზე უფრო აქტიურია (ზაფხული 70% - ზამთარი 30%. წყარო - სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია, 2023 წელი). მუნიციპალიტეტში აშენებულია ორი სამთო კურორტი მაღალი ხარისხის სათხილამურო ტრასებით. მზარდია ალპინიზმთან და სხვა ექსტრემალურ სპორტთან დაკავშირებული ღონისძიებები (მაგ. ფრირაიდის მსოფლიო საკვალიფიკაციო ტური 2022-2023, ჰაილენდერი 2022-2023). მესტია საინტერესო დანიშნულების ადგილია როგორც დამწყები სპორტის მოყვარულებისთვის, აგრეთვე პროფესიონალი სპორტსმენებისთვისაც. ტურიზმი მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი სფეროა.

2020 წელს გლობალური პანდემიის გავრცელებამ ხელი შეუშალა მსოფლიოში ტურისტულ მოგზაურობებსა და დაგეგმილ ღონისძიებებს. პანდემიამ დიდი პრობლემები შეუქმნა ტურიზმის სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს. თუმცა, 2021 წელს საზღვრების გახსნამ და საჰაერო ფრენების აღდგენამ ტურიზმი ნელ-ნელა დაუბრუნა ჩვეულ რიტმს. შემდგომ სეზონებზე მესტიის მუნიციპალიტეტმა კვლავ უმასპინძლა სტუმრებს მსოფლიოს მრავალი კუთხიდან.

სათხილამურო კურორტებს მესტიაში უდიდესი პოტენციალი აქვს. 2021 წელს უმნიშვნელოვანესი ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტი - ჰაწვალის თანამედროვე და გაუმჯობესებული საბაგირო გაიხსნა. საბაგიროს მშენებლობაში ცენტრალური ბიუჯეტიდან დაიხარჯა 7 500 000 ევრო.

მნიშვნელოვანი შესაძლებლოობაა რომ თეთნულდის სათხილამურო ტრასები დაუკავშირდეს მულახის ადმინისტრაციულ ერთეულს. გზა მესტიიდან თეთნულდის საბაგირომდე 30 კმ სიგრძისაა, ხოლო ბოლო 8 კილომეტრი ცუდ მდგომარეობაშია. ახალი საბაგირო გზის მშენებლობა შესაძლებლობას მისცემს მულახის დასახლებას რომ განვითარდეს და იქცეს სამთო-სათხილამურო კურორტად (11 ისტორიული სოფელი), სადაც შესაძლებელია 5000-მდე საწოლი ადგილის მოწყობა, ისე რომ არ დაიკარგოს ისტორიული განაშენიანების ხიბლი და სოფლების პერიმეტრი. ეს იქნება ისტორიული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ასეთი დიდი წარსულის მქონე ადგილი იქცეს თანამედროვე კურორტის საბაზო დასახლებად. აღსანიშნავია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა და მიიღო მულახის თემის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების გეგმა. მომზადებულია და შეთანხმების პროცესშია საბაგირო გზის მშენებლობის პროექტიც. საბაგირო გზა მესტიასა და თეთნულდს შორის მგზავრობის დროს გაანახევრებს. ასევე იგეგმება ჰაწვალი-მესტიის დამაკავშირებელი სათხილამურო ტრასების მოწყობა. შემდეგი ეტაპისთვის შემოთავაზებული საბაგირო გზა კი დააკავშირებს თეთნულდისა და ჰაწვალის საბაგიროებს და შექმნის დიდ სათხილამურო აგლომერაციას, რომლის ტევადობაც საკმარისი იქნება ერთდროულად 150 ათასი მოთხილამურის მისაღებად.

თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელიც ტურისტებისთვის ქმნის გარკვეულ დისკომფორტს და ზოგადად პრობლემურია საერთო ტურისტული გამოცდილებისთვის. ასეთი ტიპის გამოწვევებს მიეკუთვნება მაგალითად ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის არასტაბილური ფუნქციონირება კოვიდ-19 პანდემიის დროს. მესტიის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მესტიის ცენტრში (სეტის მოედანი) დაარსდა 2010–2011 წლებში დაბა მესტიის რეაბილიტაციის პროექტის დასრულებისას, მესტიის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის თანამშრომლობის ფარგლებში. საინფორმაციო ცენტრის მიზანი იყო ტურისტების ინფორმირება არსებული ტურისტული ზონებისა და სერვისების შესახებ. „საინფორმაციო ცენტრი“ თანამშრომლობდა საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის გაერთიანებულ ქსელში არსებულ სხვა საინფორმაციო ცენტრებთან ვიზიტორთა რეგისტრაციის, სტატისტიკის, გამოკითხვისა და სხვა კვლევების განსახორციელებლად. ეს გამოცდილება საფუძვლად დაედო ადგილობრივი DMO-ს დაარსებას და შემდგომ ფუნქციონირებას.

აგრეთვე, პრობლემურია საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა, რაც განსაკუთრებით ხელისშემშლელია ჰაწვალისა და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტებზე.

მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) „შანლანდი“, რომელიც საერთოა ზემო და ქვემო სვანეთისთვის და პასუხისმგებელია ტურიზმის მდგრად განვითარებაზე. სვანეთის DMO აქტიურად არის ჩართული ყველა ძირითად ტურისტულ და სამთო-სპორტის ღონისძიების ორგანიზებაში, როგორიცაა ფრირაიდის მსოფლიო საკვალიფიკაციო ტური (Freeride World Tour Qualifier) და საერთაშორისო ლაშქრობის ფესტივალი „სვანეთის ლაშქრობის კვირეული”. DMO საბიუჯეტო ორგანიზაციაა და ფინანსდება მესტიის და ლენტეხის მუნიციპალიტეტების მიერ. სვანეთის DMO წარმატებით

თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ პროგრამასთან (USAID/GESP, GRETA, USAID ძლიერი სოფლის პროგრამა და სხვა).

აღსანიშნავია, რომ "საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია" 2021 წელს ოფიციალურად გახდა "სამთო გამყოლთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის" (International Federation of Mountain Guides Associations - IFMGA) წევრი. ქვეყნის მასშტაბით საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე 37 სამთო გიდიდან 11 არის მესტიის მუნიციპალიტეტიდან.

მესტიის მუნიციპალიტეტი მიმზიდველია როგორც ბუნებრივი გარემოს გამორჩეულობით, ასევე კულტურული უნიკალურობით, რაც გამოიხატება როგორც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, ასევე ავთენტური შუა საუკუნეების არქიტექტურით, ძირძველი სახალხო ტრადიციებითა და შესანიშნავი ფოლკლორით. მუნიციპალიტეტში შემონახულია უნიკალური ხატები, უძველესი ხელნაწერები და სხვა რელიქვიები, რომლებიც დღეს სვანეთის ეკლესიებსა და სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ინახება. ყველაზე პოპულარული კულტურული ძეგლები დატანილია Google Maps-ზე.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი დაარსდა 1936 წელს ეგნატე გაბლიანის მიერ და მოიცავს მრავალფეროვან ექსპოზიციას. აქვე ტარდება სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებიც.

სვანეთისა და ევროპის ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტი უშგული ზღვის დონიდან 2060-2200 მეტრზე მდებარეობს. ამჟამად UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში შესული სოფ. ჩაჟაში მუზეუმად არის გამოცხადებული, რადგან მის ტერიტორიაზე უნიკალური არქიტექტურული და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა - 30-ზე მეტი ტრადიციული სვანური კოშკია შემორჩენილი. სოფლის სამხრეთით დგას XII-XIII საუკუნეების ციხესიმაგრე, რომელიც უშგულის ხუთივე სოფელს გადაჰყურებს.

სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის გარკვეულ ობიექტებს მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ეს ობიექტებია: სვანური ხალხური საკრავები „ჭუნირის" და "ჩანგის" დამზადების ტრადიციული მეთოდი; სვანური სამზარეულო - კუბდარის (სვან. კუბად), ფეტვიანი ხაჭაპურის, ნარჩვის, სულგუნის, თაშმჯაბის, სვანური მარილის, დამზადების ტრადიციული მეთოდი; ასევე სვანური ქუდის დამზადების ტექნოლოგია, ხეზე კვეთის ტრადიცია – ორნამენტი სვანურ ტრადიციულ საცხოვრისსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებში, საპნის დამზადების ტრადიცია სვანეთში, სამკურნალო-მინერალური, მჟავე წყლების: მუგვირი, არცხელი, კახრლდ, ლეგაბ, სეტის, კვედილაშის და შგედის მოხმარების წესი და ზარით დაკრძალვის სვანური რიტუალი.

მუნიციპალიტეტში 40-ზე მეტი საფეხმავლო ბილიკია მარკირებული და ამ მარშრუტებზე აღწერილია არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და საინტერესო ობიექტები. ასევე შესაძლებელია გიდების დაქირავებაც.

2022-2023 წლებში მესტიაში მთის დღეები ჩატარდა, რომელიც ადგილობრივ მოსახლობას მრავალფეროვან სანახაობას სთავაზობდა. სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვამ, სადაც წარმოდგენილი იყო ხის ნაკეთობები, საკრავები, მხატვრული ნამუშევრები, სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთები და სვანური უძველესი სახეობის ყველი ,,ნარჩვი".

ტურიზმის განვითარების პარალელურად ვითარდება მისი თანმდევი ბიზნესი შესაბამისი ინფრასტრუქტურით. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო, შედარებით მცირე ზომის სასტუმროები (საშუალოდ 20-დან 40 ნომრამდე) და 700-ზე მეტი საოჯახო სასტუმრო, რომელთა დიდი ნაწილი (მიახლ. 45%) დ. მესტიაშია განთავსებული. ასოციაცია Horeca მესტიაში ოთხ საოჯახო სასტუმროს ჩაუტარა ტრენინგი და მონიტორინგი, რის შედეგადაც მიანიჭა ევროსთარის შეფასებით 2 და 3 ვარსკვლავი. მუნიციპალიტეტს ერთდროულად 9200-9400 სტუმრის მიღება შეუძლია. დაბა მესტიასა და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ფუნქციონირებს 28 რესტორანი და 40 კაფე-ბარი. სასტუმროების მხოლოდ მცირე ნაწილია ადაპტირებული შშმ პირებზე.

ადგილობრივი მოსახლეობა ტურისტებსა და დამსვენებლებს ამავე დროს სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს, როგორიცაა ტრანსპორტირება, აღჭურვილობის გაქირავება, საცხენოსნო ტურები, კულინარიული გამოცდილება და სხვა.

მესტიის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით ბოლო წლებში მზარდია გრძელვადიანი დამსვენებლების, ე.წ. „ციფრული მომთაბარეების“ ვიზიტის დინამიკა. პანდემიის შემდგომ, და აგრეთვე რეგიონში მიმდინარე პროცესების გამო საქართველოს და ზემო სვანეთსაც ესტუმრა ასობით ვიზიტორი, ვინც რჩება მუნიციპალიტეტში კვირების და ხშირად თვეების მანძილზე. ძირითადად, ასეთი კატეგორიის დამსვენებლები დისტანციურად მუშაობენ ინტერნეტის გამოყენებით. ამრიგად, მესტიას აქვს პოტენციალი იყოს ერთგვარი ჰაბი დისტანციურად მომუშავე ვიზიტორებისთვის, რაც, თავის მხრივ მოსახლეობაში გააჩენს სტაბილურ შემოსავლის წყაროს და გაზრდის ეკონომიკურ აქტივობას.

დაბა მესტიაში ფუნქციონირებს თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, რომელიც ახორციელებს შიდა ფრენებს. რელიეფის გამო მოკლე, 1.2 კმ-იანი ასაფრენი ბილიკი აქვს. იგეგმება ტერმინალისა და ასაფრენი ბილიკის გაფართოება (ახალი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკისთვის ტერიტორიის მოძიება). დღესდღეობით, შესაძლებელია მხოლოდ 18-25 სამგზავრო ადგილის მქონე თვითმფრინავების მიღება. ფრენების განრიგი განსხვავდება სეზონების მიხედვით. ფრენა შესაძლებელია გაუქმდეს ამინდის გაუარესების გამო. რეგულარული ფრენები ნატახტრიდან ხორციელდება, ასევე რეისები ხორციელდება ქუთაისიდანაც. რაც შეეხება სპეც. ფრენებს, მისი განხორციელება შესაძლებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საავიაციო დეპარტამენტის დახმარებით. ფრენის დრო ნატახტრიდან სვანეთამდე დაახლოებით 1 საათია, რაც ძალზედ ხელსაყრელია მოგზაურებისთვის დროის დაზოგვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ამ რეგულარული ფრენების ღირებულების 50%-ს (90 ლარი) ასუბსიდირებს. საერთო ჯამში, არსებული რეისების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს ბაზარზე არსებულ მოთხოვნას. რეისების რაოდენობის გაზრდა მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა რეგიონში ტრანსპორტის განვითარების, რაც შემდგომში დაეხმარება ტურიზმის და ადგილობრივი ეკონომიკის ზრდას. აგრეთვე, მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა მესტია-ზუგდიდის დამაკავშირებელი საჰაერო მიმოსვლის აღდგენა, რომელიც კიდევ უფრო გაამარტივებს და განავითარებს რეგიონალურ მობილობას.

მესტიის მუნიციპალიტეტის ტყის ფონდს 2023 წ. მდგომარეობით უკავია 129.17 ათ ჰა-ი, რაც მთლიანი რეგიონის სივრცესთან შედარებით შეადგენს 42%-ს. 2011-2023 წლამდე მესტიის საკრებულოს ტყის ფონდი შემცირდა 7%, ჭუბერის - 4%, ხაიშის - 2%, ნაკრას და მულახის - 1%. ლატალის ტერიტორიას დაემატა 2% ტყის ფონდი და ლენჯერი, ბეჩო და ცხუმარს - თითოეულ

მათგანს 1%. დანარჩენ საკრებულებში ძალიან მცირე ცვლილებებია, თითქმის 0%. ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალი დაქანების ფერდობებზეა განფენილი და გარდა სამრეწველო დანიშნულებისა ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და კლიმატმარეგულირებელი ფუნქცია გააჩნიათ. ფოთლოვან სახეობათა მაგარმერქნიანი ჯიშებიდან ძირითადად გვხვდება წიფელი, მუხა და რცხილა, ხოლო რბილმერქნიანი, წიწვოვანი ჯიშებიდან - ნაძვი, ფიჭვი და სოჭი.

*დიაგრამა #4. მესტიის მუნიციპალიტეტის 2011-2023 ტყის ფონდის ცვლილებების დიაგრამა*[6].




რეგიონში გაცემული იყო 2009 წლიდან ხე-ტყის დამზადების სპეციალური 29 ლიცენზია, სადაც 2019 წლამდე განხორციელდა ხე-ტყის მოპოვება მთლიანად 57297,83 ჰა ფართობზე. 2009 წლის მონაცემებით ხე-ტყის მოპოვების მოცულობა მთლიანად 110938 კ.მ შეადგენდა (წიფელი-13359 კ.მ, სოჭი,ნაძვი-78677 კ.მ, სოჭი-18902 კ.მ).[7] ლიცენზიები იყო გაცემული 2009 წლიდან 5-10 წლიანი სარგებლობით. მუნიციპალიტეტში არ არსებობს რეგისტრირებული სახერხები, ვინაიდან 2019 წელს ლიცენზიებს ვადა გაუვიდა, ხოლო ახალი არ გაცემულა.[8]

მუნიციპალურ შემოსავლებში მიღებული რენტა ხე-ტყის გადამუშავებიდან 2021 და ასევე 2022 წლის მონაცემით 1,3 მლნ ლარია თითოეულ წელს.[9]

მესტიის მუნიციპალიტეტის სამრეწველო საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა მცირე და საშუალო ზომისაა და ძირითადი სამრეწველო პროდუქტი ხე-ტყის გადამუშავებაა. დღეის

---

[6]მესტიის მუნიციპალიტეტის ფართობისა და სახელმწიფო ტყის ინფორმაციის წყარო: საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტო
[7] წყარო: გარემოს დაცვის სამინისტრო
[8] წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო
[9] წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური

მდგომარეობით ფუნქციონირებს 131 სახერხი საამქრო (ხაიში 36, ჭუბერი 25, ლახამულა 20, ნაკრა 17, იდლიანი 11).[10]

ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა რაც თან სდევს მუნიციპალიტეტში ხე-ტყის გადამუშავებას, არის ნარჩენები, რომელიც მრავლად და დიდი ოდენობით გვხვდება სხვადასხვა ტერიტორიაზე, მათ შორის გზის და მდინარის პირებზე ან ტყეში. ამასთან, ნარჩენების თავიდან მოშორების გავრცელებული პრაქტიკაა ნარჩენების ღია წვა, რაც ქმნის ეკოლოგიურ ზიანს და შესაბამის რისკებს. ნახერხი ასევე ხვდება მდინარეში, რაც აზიანებს მდინარის ბინადარ არსებებს.

ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით საინტერესო შესაძლებლობაა **ხე-ტყის** გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, რაც ასევე ხელს შეუწყობს ხე-ტყის სახერხი საამქროების ბაზაზე შეიქმნას უნარჩენო წარმოება. ამ მხრივ, პოტენციურად მრავალმხრივი სარგებლის მომტანია ნარჩენების გადამუშავების საკითხი, მაგ. ბიო საწვავის - ბრიკეტების წარმოება.

*რუკა #2. სახელმწიფო ტყის ფონდი.*



მესტიის მუნიციპალიტეტი საქართველოს მასშტაბით ყველაზე მაღალმთიან და მცირემიწიან კუთხეს წარმოადგენს. იგი ხასიათდება ძლიერი დანაწევრებული რელიეფით, დიდი შეფარდებითი სიმაღლეებითა და ღრმა ხეობებით. მისი გეოგრაფიული მდებარეობა და მძიმე კლიმატურ მეტეოროლოგიური პირობები არ იძლევა სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი განვითარების საშუალებას. თუმცა, მესტიის მუნიციპალიტეტში განვითარებულია მეცხოველეობა, გასაკუთრებით მესაქონლეობა, ითესება მარცვლეული კულტურები და კარტოფილი. მოსახლეობა სასოფლო-სამეუნეო პროდუქციას ძირითადად ამდიდრებს ბუნებრივი სასუქებით, შესაბამისად, ვიღებთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს.

2021 წლის მუნიციპალური მონაცემების მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი 94 264 ჰექტარია, რაც მთელი ტერიტორიის 30,95%-ია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის 96,3% მოდის საძოვრებსა და მთის იალაღებზე,

[10] წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტის ბაზა

რომელიც მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია. სათიბების ფართი 2077 ჰექტარია (2,2%), ხოლო სახნავ-სათესი მიწის ფართი 1016 ჰა-ს შეადგენს. სახნავი და სათიბი მიწის ფართები კერძო საკუთრებაშია. საკარმიდამო მიწის ნაკვეთის კატეგორიაში ფიქსირდება 383 ჰა, რომლის 68% ფართზე ანუ 261 ჰა-ზე განთავსებულია მრავალწლიანი ნარგავები, ხოლო 122 ჰა გამოყენებულია როგორც სახნავი.

ქვეყნის მასშტაბით, სოფლის განვითარების სააგენტოს 45 საინფორმაციო ცენტრიდან ერთი მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს. ცენტრის თანამშრომლები საექსტენციო მომსახურების სერვისს სთავაზობენ ფერმერებს.

სოფლის განვითარების სააგენტოს ექსტენციონისტის ფუნქცია, ასევე, არის დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია სოფლის განვითარების მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილი მხარდამჭერი ღონისძიებების და პროექტების შესახებ. საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს, როგორც საოფისე და დისტანციურ, ასევე საველე კონსულტაციას.

2023 წელს სოფლის განვითარების სააგენტოს მეშვეობით დაიწყო ,,მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა". პროგრამის მიზანია, თანადაფინანსების გზით, ხელი შეუწყოს მაღალმთიან დასახლებებში კერძო სექტორის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოახდინოს ახალგაზრდა მეწარმეებისა და ეკონომიკური აქტივობის ზრდის სტიმულირება.

სოფლის განვითარების სააგენტოს მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2022 წლის ბოლოსთვის აღირიცხებოდა 8000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (5000 ფური), 850 ღორი, 730 სული თხა და ცხვარი, 2060 ფრთა ფრინველი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის სულადობა ბოლო 4 წლის განმავლობაში საგრძნობლად - დაახლოებით 20%-ით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო მოსახლეობის ტურიზმის სფეროზე გადართვით და ასევე სხვადასხვა დაავადებების გავრცელებით. შესაბამისად, პერიოდულად შეინიშნება საქონლის ხორცის დეფიციტი, რაც განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთება მაღალი ტურისტული სეზონის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ სისტემატიურად მიმდინარეობს ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ სამკურნალო ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის მცხოვრებნი ასევე მისდევენ მეთევზეობასაც. არსებული 5 თევზსაშენი ტბორიდან წარმოებული პროდუქციის რაოდენობა შეადგენს 1 ტონას. ასევე, 3 მოქმედი საკალმახე მეურნეობიდან იღებენ 1 ტონა კალმახს[11].

მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია მეფუტკრეობა. რეგიონში გავრცელებული ფუტკარი მონაცრისფრო შეფერილობისაა. ესაა ენდემური ჯიში: კავკასიური მთური ნაცრისფერი ფუტკარი (*Apis mellifera caucasica*). მეფუტკრეობის გავრცელების მიზეზი დაუმუშავებელი მინდვრების სიმრავლეც არის, თუმცა მკაცრი კლიმატური პირობების გამო, წელიწადში მხოლოდ ერთი მოსავლის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა. მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოსახლეობას მოშენებული ჰყავს 3080 ოჯახი ფუტკარი. მეფუტკრეობის დარგის განვითარების ძალიან დიდი პოტენციალია ქვედა ზონაში, კერძოდ იდლიანის, ხაიშისა და ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

[11] წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო

მესტიის მუნიციპალიტეტში წარმოებული რძის ნაწარმიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნარჩვი, რომელიც უძველესი სვანური ყველის ნაირსახეობაა. მისი დამზადება გარკვეული პერიოდი მივიწყებული იყო, თუმცა ბოლო რამდენიმე წელია ნარჩვის წარმოება აღდგა მესტიის მუნიციპალიტეტის ლახამულას ადმინისტრაციულ ერთეულში. ნარჩვი ზამთრისთვის შენახული ყველია, მისი დამზადება იწყება ზაფხულში და შესაძლებელია გაგრძელდეს მანამ, სანამ ძროხა საკვებად ცოცხალ ბალახს იყენებს.

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა და მძიმე კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები არ იძლევა მემცენარეობის სხვადასხვა დარგის კარგად განვითარების საშუალებას. აქ ძირითადად ითესება კარტოფილი, სიმინდი, ლობიო და მცირე რაოდენობით ფეტვი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში დაიწყო ხორბლის მოყვანა (რამდენიმე ადგილობრივმა მეწარმემ მოაშენა ძველი სვანური ხორბლის ჯიშები).

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თესავს კარტოფილს. აქ მოდის როგორც თეთრი, ისე წითელი კარტოფილი. სვანური კარტოფილი გამოირჩევა განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით, რასაც მუნიციპალიტეტის ნიადაგი განაპირობებს. ასევე მისი განსაკუთრებულობა განპირობებულია იმითაც, რომ მოსახლეობა არ იყენებს ქიმიურ ნივთიერებებს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კარტოფილის კულტურა მესტიის მუნიციპალიტეტში საჭიროებს განახლებას, კერძოდ, აუცილებლობას წარმოადგენს ბიოლოგიურად სუფთა ჯიშის სათესლე კარტოფილის შემოტანა და ადგილობრივი გავრცელება.

სვანეთში საშემოდგომო პურის რამდენიმე ჯიში ითესებოდა: საგაზაფხულო პურს სვანეთში უწოდებდნენ „კულს“ (დიკა). საუკეთესო ხორბალი მოდიოდა ბეჩოს თემის სოფელ დოლში; დღემდეა შემორჩენილი სახელწოდება ,,დოლა დიარ'', რაც დოლის პურს ნიშნავს. ხორბლის კულტურიდან დღეს შემორჩენილია 4 ჯიშის ხორბალი, დანარჩენი მოსაძიებელი და გადასარჩენია. სვანეთში ხორბალი 30 წელზე მეტია არ დათესილა, შესაბამისად დაინგრა და განადგურდა წყლის წისქვილები და ეს კულტურა დავიწყებას მიეცა, თუმცა 2022 წელს ბეჩოში დაიწყეს ხორბლის თესვა, რისი ერთ-ერთი მიზანიცაა ხორბლის ჯიშების და ძველი კულტურის გადარჩენა.

ადგილობრივი თვითმმართველობა გეგმავს მოსახლეობისთვის დოლის ჯიშის ხორბლის თესვის შესაბამისი პროგრამის შემუშავებასა და ხელშეწყობას, რათა მესტიაში წახალისდეს ადგილზე ხორბლის მოყვანისა და ადგილობრივი პურის წარმოების შესაძლებლობები. აგრეთვე, იგეგმება ბიოლოგიურად სუფთა ჯიშის სათესლე კარტოფილის შემოტანა და გავრცელება.

შავი ფეტვი უძველესი ადგილობრივი ჯიშია და იგი ფეტვის მთის ეკოგეოგრაფიულ ჯგუფს წარმოადგენს. გავრცელებული იყო მესტიის მუნიციპალიტეტში. დღესაც ითესება საკარმიდამო ნაკვეთებზე მცირე რაოდენობით. ამ მხრივ განსაკუთრებით გაოირჩევა ცხუმარისა და ეცერის ადმინისტრაციული ერთეულები. სვანეთში დღესაც გამოიყენება ფეტვის ნაფქვავი ხორბლის ან სიმინდის ფქვილში შესარევად, ფეტვი ცომს სირბილესა და განსაკუთრებულ გემოს სძენს. ფეტვისაგან აცხობენ ფეტვჭვიშდარსა და ლუკვნეს.

2018 წლის მონაცემებით მესტიის მუნიციპალიტეტში ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა 477,2 ჰა შეადგინა, აქედან კარტოფილი დათესილი იყო 472 ჰა-ზე და მიღებული იქნა 4728 ტ მოსავალი, სიმინდი და ლობიოს საშუალო მოსავლიანობამ 10,2 ტ შეადგინა და 22,15 ჰა-დან 225 ტ. მოსავალი იქნა მიღებული, ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი იყო 1,85 ჰა. სხვადასხვა

კულტურები კი დათესილი იყო 2,5 ჰა-ზე. აუთვისებელი და გამოუყენებელი სავარგულების ხვედრითი წილი 11,8%-ს ანუ 56,2 ჰა-ს შეადგენს.

მრავალწლიანი ნარგავებიდან მესტიის მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია კაკლოვანი კულტურები: კაკალი და თხილი. კაკალი გაშენებულია 30 ჰექტარზე თხილი კი 1 ჰექტარზე. კაკლის საშუალო მოსავლიანობა მიახლოებით 2 ტონაა და 2018 წელს მიღებულმა მოსავალმა 60 ტონას მიაღწია, თხილის მოსავალმა კი 0,85 ტონას. მემცენარეობიდან საშუალო წლიური შემოსავალი 5 162,4 ათ ლარია, რომლის უმეტესი წილი 78,5 % 4050,5 ათ. ლარი კარტოფილის და 26,7% -დაახლოებით 1380 ათ ლარი კაკლის მოსავლიდან არის მიღებული.

მესტიის მუნიციპალიტეტში ძალიან დაბალია მემცენარეობის პროდუქტიულობა, რასაც განაპირობებს მოძველებული და ამორტიზებული გენეტიკური მასალა, სავარგულების დეგრადაცია და ამორტიზებულობა, არასათანადო ფინანსური რესურსი და შრომის დაბალი ორგანიზებულობა. ასევე პროდუქციის რეალიზაციის გართულებული პირობები. მოსავლიანობის და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით აუცილებელია მუნიციპალიტეტში მიმღები და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა.

მესტიის მუნიციპალიტეტში, აგრეთვე, არსებობს რესურსი ტყის კენკროვანი არამერქნული მცენარეებისა და ბალახეულის მოპოვება და გადამუშავება, რისგანაც შესაძლებელია გაკეთდეს როგორც ჩაი, ასევე სხვადასხვა სამკურნალო დანიშნულების პროდუქტი. გარდა ამისა, მოიპოვება პიტნა, რომელიც არაა დაფასოებული და რომლის მოპოვების ზრდასაც მნიშვნელოვანი რესურსი გააჩნია.

მესტიის მუნიციპალიტეტში, აუთვისებელი ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთ სეგმენტს წარმოადგენს ზემო სვანეთის ხეობაში ბუნებრივად გავრცელებული სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მცენარეების მცირე, ადგილობრივი მეურნეობების მასშტაბის ფარგლებში ათვისება. მცირე სათემო მეურნეობების განვითარების კუთხით აღნიშნული საკითხისადმი მიდგომა არის პრინციპული, რადგან ზემოთ ხსენებული ეკოსისტემური სერვისი არის მდგრადი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოდან აღნიშნულ მცენარეთა სახეობების ამოღების პროცესი არ არის არსებული ეკოსისტემისთვის დამაზიანებელი.

მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია, სადაც ამ ეტაპზე ხორციელდება სურსათისა და ვეტერინარიული მიმართულებით შემდეგი კვლევები: 1) მეზოფილური აერობებისა და ფაკულტატური ანაერობების, E.coli-სა (*Escherichia coli*) და კოლიფორმული ბაქტერიების კვლევა სასმელ წყალში; 2) ბრუცელოზი სისხლი (შრატი) როზბენგალის რეაქცია, ფლუორესცენტრული პოლარიზაციის ტესტი (FPA), ბრუცელოზი რძის რგოლური რეაქცია და მასტიტი. ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია და ფლობს უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტს, აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს ადგილზე მარტივად და სწრაფად მიიღონ საერთაშორისო დონის კვლევები. ლაბორატორია ასევე ჩართულია შიდა საკვალიფიკაციო ტესტირებაში, რასაც ამ ეტაპზე წარმატებით გადის. ამჟამად მიმდინარეობს ახალი კვლევების დანერგვა. დღეის მდგომარეობით ლაბორატორიას ესაჭიროება მეტი მოცულობის ფართი, იმისათვის რომ დაემატოს ახალი კვლევები და შესაბამისი აღჭურვილობა, ასევე მნიშვნელოვანია ლაბორატორიის, მისი ფუნქციებისა და საჭიროების შესახებ ცნობადობის გაზრდა მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტში ამჟამად არ არსებობს აგრომაღაზია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ხელმისაწვდომობა ძალიან მწირია აგრო ხელსაწყოებზე, პრეპარატებზე, სათესლე მასალაზე, მოტობლოკებსა და სხვადასხვა აგროინვენტარზე.

მესტიის მუნიციპალიტეტი ფლობს 6 ერთეულ თვლიან ტრაქტორსა და 1 ერთეულ კომბაინს. აღნიშნული ტექნიკა ემსახურება მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს და ზრდის ხელმისაწვდომობას აგრარულ საქმიანობაზე.

მესტიის მუნიციპალიტეტი არ არის გაზიფიცირებული. მუნიციპალიტეტში, ასევე არაა განვითარებული განახლებადი ენერგიების ინდუსტრია, კერძოდ მზისა და ქარის ენერგია. შესაბამისად, ენერგიის ძირითადი საშუალება მეტწილად იმპორტირებული ელექტროენერგიაა. იგი გამოიყენება საშინაო მეურნეობების გათბობისთვისაც. მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული რთული კლიმატური პირობებისა და ცივი ზამთრის გამო, ელექტროენერგიაზე დატვირთვა განსაკუთრებით იმატებს ზამთრის პერიოდში. იქიდან გამომდინარე რომ მუნიციპალიტეტში მოწესრიგებული არაა ელექტროენერგიის ინფრასტრუქტურა, ზამთრის პერიოდში ხშირად ხდება ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, რაც უარყოფითად აისახება ცხოვრების ხარისხზე. საოჯახო მეურნეობები არ არის გამრიცხველიანებული, შესაბამისად შეუძლებელია მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა შინამეურნეობების დონეზე. სტაბილური ელექტროენერგიის მიწოდების არარსებობა ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას და ქმნის რიგ რისკებს, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივი ეკონომიკის სხვა დარგებთან, როგორიცაა ტურიზმი, მრეწველობა და სხვა. აგრეთვე, ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო რთულდება მუნიციპალიტეტში გაჩენილი ახალი ობიექტების, როგორც საწარმოების, ასევე მაგ. საჯარო დაწესებულებების ელექტროფიცირება.

მეორე მხრივ, მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მდინარეების სიმრავლე და მაღალმთიანი რელიეფი, აგრეთვე, განაპირობებს მუნიციპალიტეტში ჰიდროენერგეტიკის და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს. მესტიის მუნიციპალიტეტს აქვს მნიშვნელოვანი აუთვისებელი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი წყლის უხვი რესურსის გამო. ამ სექტორის განვითარება გაზრდის ადგილობრივ ეკონომიკას, უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, იაფ ენერგიასა და დამატებით მუნიციპალურ შემოსავლებს. ჰიდრორესურსიდან მიღებული ენერგია განახლებადი ენერგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა, რაც მნიშვნელოვან დადებით წვლილს შეიტანს ახლანდელ ენერგომოხმარების ტენდენციაში.

მუნიციპალიტეტში 11 მოქმედი ჰესია, საერთო დადაგმული სიმძლავრით 91.36 მვტ. მიმდინარეობს 4 საინვესტიციო პროექტზე მუშაობა, რომელთა საერთო პოტენციური დადგმული სიმძლავრე არის 26.3 მვტ. ამასთან ერთად, კვლევის ეტაპზეა 25 ჰიდროელექტროსადგურის საინვესტიციო პროექტი, რომელთა ჯამური პოტენციური დადგმული სიმძლავრე არის 1744.93 მვტ. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მესტიის მუნიციპალიტეტში განახლებადი ენერგიის მიმართულებით ამ დარგის განვითარების უზარმაზარ პოტენციალს (იხ. დანართი 5).

*რუკა #3. მესტიის მუნიციპალიტეტის ჰიდროლოგიური ქსელი.*




მესტიის მუნიციპალიტეტში პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ გრანტებზე მიმართვიანობა საკმაოდ მაღალია. უწყების მიერ 2015 წლიდან 2022 წლის ჩათვლით მესტიის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 366 საგრანტო პროექტი (მიკროგრანტი), ხოლო დაფინანსებამ ამ კატეგორიაშ შეადგინა 3 685 540 ლარი (იხ. დანართი 6).

„აწარმოე საქართველოში” პროგრამის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში დაფინანსებული საგრანტო ბიზნეს პროექტების დაფინანსების მოცულობა წლების მანძილზე იცვლება, თუმცა ტენდენცია დაღმავალია. ეს თავის მხრივ გამოწვეულია 2020-2021 წლების კოვიდ-19-თან დაკავშირებული შეზღუდვებით. 2022 წელს პროგრამა ისევ უბრუნდება პანდემიამდელი წლების მაჩვენებლებს დაფინანსების კუთხით.

ბენეფიციარების რაოდენობის მხრივაც გვაქვს მსგავსი ტენდენცია, კერძოდ პანდემიის შემდგომ 2022 წელს გვყავს მიკროგრანტების 37 ბენეფიციარი. აგრეთვე, შეინიშნება ერთ ბენეფიციარზე დაფინანსების საშუალო მოცულობის ზრდის ტენდენცია. კერძოდ, თუ 2018 წელს ერთ ბენეფიციარზე საშუალო დაფინანსებამ შეადგინა 11 125.30 ლარი, 2022 წელს იგივე მაჩვენებელი გაორმაგდა და შეადგინა 22 606.81 ლარი.

როგორც ზემოთ აღვწერეთ, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით მოქმედებს ,,მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა”. აგრეთვე, ხელმისაწვდომია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური სასესხო პროგრამები.

თუმცა, მესტიის მუნიციპალიტეტში შეინიშნება დაბალი ინტერესი სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამებთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ტურიზმით დაინტერესებით.

## მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

**საგზაო ინფრასტრუქტურა:** მესტიის მუნიციპალიტეტში გამავალი, ზუგდიდი-ჯვარი-მესტია ლასდილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის საერთო სიგრძე

162,1კმ-ია. რომლის 150 კმ-იანი მონაკვეთი დაფარულია ბეტონის საფარით, დარჩენილ მონაკვეთზე მიმდინარეობს მუშაობა.

სულ რეაბილიტირებულია შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზის 92,5 %. მიმდინარეობს ლენტეხი უშგულის საავტომობილო გზის მშენებლობა.

მესტიის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 832,5 კმ-ია. მათ შორის 74,5 კმ ანუ 8,8% დაბა მესტიის ტერიტორიაზეა განთავსებული, დანარჩენი 758 კმ სოფლის ცენტრებთან დამაკავშირებელი და შიდა სასოფლო გზებს მიეკუთვნება.

დ. მესტიის ქუჩების 52% დაფარულია რკინაბეტონის საფარით.

მესტიის მუნიციპალიტეტში შემავალი 8 ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრთან დამაკავშირებელი გზა შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე გადის. დარჩენილი 8 ერთეულის ცენტრი ამავე გზიდან საშუალოდ 5-6 კმ მანძილით არის დაშორებული (ჯამში 45 კმ), რომლის მხოლოდ 20%-ზე არის ბეტონის საფარი დაგებული. სოფლებს შორის არსებული გზების ძირითადი ნაწილი გრუნტისაა და ხშირად მათზე გადაადგილება პრობლემური ხდება (იხ. დანართი 7).

**ხიდები:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე არსებული 42 ხიდის უმეტესი ნაწილი კარგ მდგომარეობაშია. 10 ხიდი საჭიროებს შეკეთებას. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ უკვე გამოცხადებულია ტენდერი აღნიშნული ხიდების რეაბილიტაციის მიზნით და მიმდინარეობს მუშაობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე დღეის მდგომარეობით არის 73 დიდი და მცირე ხიდი (ხიდი, მილ ხიდი და ხიდბოგირი), მათ შორის 2020-2022 წლებში აშენდა 8 ახალი ხიდი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4-ს. კარგ მდგომარეობაშია 15 ხიდი, ხოლო სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს - 22.

მესტიის მუნიციპალიტეტის რთული რელიეფიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით იხარჯება მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრები, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების უმეტესი ნაწილი გრუნტისაა და მათი ამჟამინდელი მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ბეტონის საფარი დაგებულია და კეთილმოწყობილია მხოლოდ მთლიანი გზების მხოლოდ 7-8 %.

მოსახლეობისთვის უცილებელია სათიბ-საძოვრებამდე და სასოფლო სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზების მოწყობა, რადგან შეძლონ სოფლის მეურნეობის გაძლიერება და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღება.

**წყალმომარაგება და კანალიზაცია:** მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოწესრიგების საკითხი.

ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა შემკრები და გამწმენდი სათაო ნაგებობებით მოწყობილია მხოლოდ დ. მესტიაში, სადაც წყალმომარაგებას ახორციელებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სერვისცენტრი.

წყალმომარაგების ახალი სისტემები მოეწყო მუნიციპალიტეტის 22 სოფელში, მშენებლობა მიმდინარეობს 3 სოფელში.

მზად არის საპროექტო დოკუმენტაცია 11 სოფლისთვის. მიმდინარეობს ფინანსური რესურსის მოძიება პროექტის განსახორციელებლად. ასევე მზადდება 12 სოფლისთვის წყლის სისტემის საპროექტო დოკუმენტაცია.

გამართული წყალმომარაგების სისტემებით უზრუნველყოფილია მოსახლეობის მხოლოდ 28 %.

ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა მოწყობილია მხოლოდ დ.მესტიაში, სადაც ოპერირებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სერვისცენტრი.

დამთავრდა სოფელ ადიშში საკანალიზციო სისტემის მშენებლობა და დაგეგმილია საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა 14 სოფელში.

მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება მოსახლეობისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდება და გამართული საკანალიზაციო სისტემების მოწყობა (იხ. დანართი 8).

მუნიციპალიტეტმა 2021 წლიდან დაიწყო სოფლებში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, რომელიც გაგრძელდება ქსელის სრულ მოწყობამდე. 2021 წელს მუნიციპალიტეტმა სოფლებში საკანალიზაციო ქსელის მოწყობაზე დახარჯა 124 446 ლარი, 2022 წელს 165 000 ლარი.

**ტრანსპორტი.** ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს დ.მესტიაში ადგილობრივი მნიშვნელობის აეროპორტის არსებობა. რეისები დანიშნულია ქუთაისისა და თბილისის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სახმელეთო ტრასპორტით მომსახურებას ძირითადად კერძო კომპანიები ემსახურებიან და რეისები ყოველდღიურად ხორციელდება ქ.თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და ზუგდიდის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტისთვის უახლოესი სარკინიგზო ლოკაცია ზუგდიდის სადგურია.

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მუნიციპალური ტრანსპორტის არ არსებობა.

**ელექტრომომარაგება.** მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის ელექტრო ენერგიით მომარაგებას ახორციელებს სს ''ენერგო პრო ჯორჯია'' და საქართველოს ელექტროსისტემა.

ელექტრომარაგების სფეროში არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, რადგან მაღალი ძაბვის ბოძების და სადენების უმეტესი ნაწილი მოძველებულია და საჭიროა მათი გამოცვლა.

**ტურისტული ინფრასტრუქტურა**: მუნიციპალიტეტში ტურიზმი ერთერთი წამყვანი დარგია, რადგან ტურისტული პერიოდი ოთხივე სეზონს მოიცავს. მესტიაში ფუნქციონირებს ორი სამთო კურორტი და არსებობს სხვადასხვა კატეგორიის სათხილამურო ტრასები.

მუნიციპალიტეტში მოწყობილია 40-ზე მეტი საფეხმავლო ბილიკი. აღწერილია ამ მარშრუტებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და საინტერესო ობიექტები.

შესაძლებელია 479 კმ საერთო სიგრძის 38 ახალი ტურისტული მარშრუტის და საფეხმავლო ბილიკის მოწყობა. ახალი მარშრუტების მოწყობა განხორციელდება ეტაპობრივად.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია პანორამული გადასახედი მოედნების მოწყობა, რომლებისთვისაც ამ ეტაპზე შერჩეულია 4 ლოკაცია (მესტია უშგულის საავტომობილო გზაზე უღვირის მიმდებარე ტერიტორია, სოფელი წვირმის შესასვლელი, სოფელ ნაკრაში თავრალის ტერიტორია და დ.მესტიაში ცხაკვზაგარის ტერიტორია)

**სტიქიის საპრევენციო ღონისძიებები:** მესტიის მუნიციპალიტეტის რელიეფის რთული გეოლოგიური აგებულება და სპეციფიკური კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები საშიში პროცესების განვითარებას და სტიქიურ მოვლენებს (მეწყერი, ზვავი, ქვათაცვენა, ღვარცოფი, წყალმოვარდნა და მდინარეების ადიდება) განაპირობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების განხორციელება. სისტემატურად მიმდინარეობს ნაპირდამცავი საყრდენი კედლების და გაბიონების, სანიაღვრე არხების მშენებლობა და არსებული არხების განტვირთვა (იხ. დანართი 9)

**კეთილმოწყობა: საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა** - მესტიის მუნიციპალიტეტის ერთერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების ხელმისაწვდომობა. საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული გარდაქმნების კვალდაკვალ მიმდინარეობს მუშაობა რეფორმების განხორციელებისთვის და შესაბამისი ბაზის შესაქმნელად.

მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი, 24 საჯარო სკოლა, პროფესიული კოლეჯი, სკოლა-გიმნაზია და სახელოვნებო სკოლა .

არსებული 24 საჯარო სკოლიდან საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 სკოლის მშენებლობა. სკოლების დანარჩენი ნაწილი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. განათლების ხელმისაწვდომობის გაძლერების მიზნით მთელ ტერიტორიაზე ხორციელდება მოსწავლეების ტრანსპორტირება.

2020-2022 წლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების პროგრამის ფარგლებში 10 საჯარო სკოლაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები შემუშავებული პრიორიტეტების და სკოლების საჭიროებებიდან გამომდინარე.

2019-2022 წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მდგომარეობა. აშენდა 11 ახალი ბაღი, მიმდინარეობს 5 (მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით) ბაღის მშენებლობა. ასევე მგფ-ის დაფინანსებით დაგეგმილია 3 საბავშვო ბაღის მშენებლობა. სრული რეაბილიტაცია კი გათვალისწინებულია 3 საბავშვო ბაღისთვის (იხ. დანართი 10).

**სპორტი:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და მისი შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით სისტემატურად იზრდება სპორტული ობიექტების რაოდენობა: აშენდა ახალი სპორტული დარბაზები, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები და მინი სტადიონები.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია 2022 წლიდან ახორციელებს გადასახური მასალით დახმარების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას გადაეცემა ნაცრისფერი შეფერილობის თუნუქი მათ საკუთრებაში არსებული კერძო სახლების, სვანური სახლების, სვანური კოშკებისა და კომერციული ფართების გადასახურად. მოცემული პროგრამა მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, აგრეთვე მდგრად ურბანულ განვითარებას და კეთილდღეობას. 2022 წელს გადასახური მასალა გადაეცა 159 ბენეფიციარს (იხ. დანართი 11).

გარე განათების ქსელი დ. მესტიის გარდა მოწყობილია 9 ადმინისტრაციული ერთეულის 38 სოფელში. მოწყობილია 1015 სანათი, მათ შორის განათებულია 80 კოშკი და ეკლესია.

ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა: სკვერები და პარკები.

სწრაფად მზარდი ტურიზმის პირობებში, მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იქცა სკვერებისა და პარკების მოწყობა და დაიწყო ზრუნვა არსებულის მოწესრიგების და ახალი სარეკრიაციო ზონების მოსაწყობად. დ.მესტიაში დამთავრდა თამარ მეფის ქუჩაზე სკვერის მოწყობა, მიმდინარეობს სეტის მოედანზე არსებული პარკის რეაბილიტაცია და აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სარეკრიაციო ზონის მშენებლობა. ასევე დაგეგმილია მესტია ჭალაზე ახალი ბულვარის მშენებლობა.

## ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

მესტიის მუნიციპალიტეტისთვის, როგორც მაღალმთიანი რეგიონისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება.
მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი შპს ,,მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება. გადაუდებელი ამბულატორია-სტაციონალური მომსახურების განყოფილება 22 საწოლით მათ შორის გაერთიანებაში ფუნქციონირებს გადაუდებელი სამედიცინო განყოფილება (ემერჯენსი) ექვსი საწოლით . საავადმყოფოში ხელმისაწვდომია დიალეზის სახელმწიფო პროგრამა, პროგრამის ფარგლებში საკადრო დეფიციტიდან გამომდინარე, მოწვეული სამედიცინო კადრების თანამდებობრივ სარგოს და პროგრამით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯებს მესტიის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ რეგიონისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური დაავადებების გავრცელება, მაგალითად ენდემური ჩიყვი, დიაბეტი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში დაცულია პირველადი ჯანდაცვის გეგმით განსაზღვრული შეფარდება, აღსანიშნავია სამედიცინო სფეროში არსებული კადრების დეფიციტი. მესტიის საავადმყოფო, ამბულატორიულ განყოფილებაში დასაქმებულია 91 თანამშრომელი, მათ შორის: 17 ადმინისტრაციული განყოფილების თანამშრომელი, 25 ექიმი, 3 უმცროსი ექიმი, 30 ექთანი, 10 სანიტარი, 6 რეგისტრატორი. თუმცალა კლინიკას არ ჰყავს ექიმი-კარდიოლოგი, ტრავმატოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი, საჭიროებს ასევე დამატებით ანესთეზიოლოგ /რეანიმატოლოგს და ემერჯენსის სპეციალისტებს.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ყოველთვიურ დანამატს ექიმისა და ექთნებისთვის, რომელიც მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობენ, ან შრომის ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ. აღნიშნული წესი საქართველოს დადგენილებითაა განსაზღვრული და ემსახურება სამედიცინო პერსონალის წახალისებას, ადგილობრივი კადრების შენარჩუნებისა და მაღალმთიან დასახლებაში სამედიცინო პერსონალის დასაქმებით დაინტერესებას.

სამედიცინო კადრების დეფიციტიდან გამომდინარე მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და ასევე სამთო-სათხილამურო კურორტის დამსვენებლების შესაძლო ტრავმების მიღების შედეგად, ადგილზე დროული ტრავმატოლოგიური და ქირურგიული მომსახურების მიღების მიზნით, შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოფს მოწვეული სპეციალისტების შრომით ანაზღაურებას.

ამ ეტაპზე „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება“-ში შესაძლებელია შემდეგი სახის სამედიცინო მომსახურება მიღება:

**გეგმიური ამბულატორიული მომსახურება:**

- ნევროპათოლოგის მომსახურება;
- ოჯახის ექიმის მომსახურება;
- პედიატრიული მომსახურება;
- ენდოკრინოლოგიური მომსახურება;
- ექიმ-ლაბორანტის მომსახურება;
- ქირურგიული მომსახურება;
- ონკოლოგის მომსახურება;
- თერაპევტის მომსახურება;
- ფსიქიატრის მომსახურება;
- ტუბ-კაბინეტის მომსახურება;
- რენტგენო-ლაბორანტის მომსახურება;
- ჰემოდიალეზის მომსახურება/უზრუნველყოფა.

**გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება:**

- თერაპიული მომსახურება;
- ქირურგიულ/ტრავმატოლოგიური მომსახურება;
- პედიატრიული მომსახურება;
- მეან-გინეკოლოგიური მომსახურება;
- ენდოკრინოლოგიური მომსახურება;

**გადაუდებელი სტაციონალური მომსახურება:**

- თერაპიული მომსახურება;
- ქირურგიული მომსახურება;
- ტრავმატოლოგიური მომსახურება (საკურორტო სეზონზე);
- პედიატრიული მომსახურება;

- მეან-გინეკოლოგიური მომსახურება;
- ინტენსიურის-ანესთეზიოლოგ/რეანიმატოლოგის მომსახურება;
- ნევროპათოლოგის მომსახურება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, მესტიის საავადმყოფო - ამბულატორიულ გაერთიანებას, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შუამდგომლობით და ჩართულობით, გადასცა უახლესი მაგნიტურ - რეზონანსული კვლევის აპარატი. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი კადრების გადამზადება. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უახლოეს მომავალში შესაძლებლობა ექნება ადგილზე ჩაიტარონ მაგნიტურ რეზონანსული კვლევა.

2022 წლის განმავლობაში შპს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების" მიერ სამედიცინო მომსახურება გაეწია 16322 პაციენტს, მათ შორის გეგმიური ამბულატორიული მომსახურება - 8992 პაციენტს; მათ შორის (იხ. დანართი 12).

აგრეთვე, დანართი 13-ში შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ ინფორმაცია. დამატებით, იხილეთ დანართი 14 მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული დაავადებების შესახებ ინფორმაციისთვის.

მესტიის მუნიციპალიტეტს განახლებული ავტოპარკინგით ემსახურება სასწრაფო სამედიცინო დახმარების 2 ბრიგადა. ასევე ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები კატასტროფის ბრიგადის დაკომპლექტების მიზნით, რის შემდეგაც დაგეგმილია საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ მესტიის მუნიციპალიტეტის დ. მესტიაში რეანომობილის პუნქტის განთავსება. რეანომობილის საშუალებით, კლინიკებს შორის კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების სამედიცინო ტრანსპორტირება განხორციელდება. ამჟამად საჭიროების შემთხვევაში პაციენტების გადაყვანა ხორციელდება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რეანომობილით (ზუგდიდი, ფოთი, ქუთაისი).

**ამბულატორიები:**

მაღალმთიან დასახლებებში მოქმედებს „სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამა", რომლის მიზანია სოფლის მოსახლეობისთვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მესტიის მუნიციპალიტეტში განთავსებულია 17 ამბულატორიული შენობა, მათ შორის ჭუბერი–უშგულის ამბულატორიული გაერთიანება (იხ. დანართი 15).

კადრების დეფიციტიდან გამომდინარე სამედიცინო პერსონალის გარკვეული ნაწილი შეთავსებით მუშაობს რამოდენიმე პოზიციაზე (ოჯახის ექიმად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრსა და საავადმყოფოში).

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე, სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია. საავადმყოფოები მდებარეობს მუნიციპალურ ცენტრებში და ზამთრის რთული კლიმატური პირობების გამო, მუნიციპალური ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობას სამედიცინო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით სირთულეს უქმნის.

იმისათვის რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ადგილზე შეძლოს სამედიცინო მომსახურების შესაბამის გარემოში მიღება, საჭიროა შესაბამისი გარემოს მქონე ამბულატორიის შენობების რეაბილიტაცია. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულში არსებულ სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, სოფლის ექიმების სახელმწიფო პროგრამის მართვა და მერიის საკუთრებაში არსებული ამბულატორიული შენობა-ნაგებობების ნაწილი უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით გადაეცა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს. პირველ ეტაპზე უზურფრუქტის ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემულია 6 ამბულატორიული შენობა-ნაგებობის/ნაგებობაში არსებული ფართი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ 8 ამბულატორიული შენობა-ნაგებობას (შენობაში განკუთვნილი ფართი) აღნიშნული ფართების გადაცემა მოხდება ეტაპობრივად, უზურფრუქტის ხელშეკრულების ფარგლებში, შესაბამისი პროცედურების გავლით.

**სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები (https://mestia.gov.ge):**

მესტიის მუნიციპალიტეტში სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფის - სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალშობილების, შშმ და სსმ საჭიროების მქონე პირების, მარჩენალდაკარგული ოჯახების, დიალიზით მოსარგებლე და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების, ონკოლოგიური და ფსიქიური პრობლემების მქონე პირების, უსახლკაროთა და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა და სხვა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფას, როგორც სერვისის მიწოდების ასევე ფულადი დახმარების გაცემის გზით.

აღნიშნული პროგრამები და სერვისები მიზნად ისახავს მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას, სიღარიბის შემცირებას, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებასა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის მიზნით შემუშავდა დაფინანსებაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამები (იხ. დანართი 16).

აგრეთვე, დანართი 17-ში შეგიძლიათ იხილოთ დეტალური ინფორმაცია სტიქიის შედეგად დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების შესახებ.

**სარეაბილიტაციო ცენტრი:**

მესტიის მუნციპალიტეტის მერიისთვის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო დახმარების გაწევა წარმოადგენს. აღნიშნული კუთხით წლების განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები და შემუშავდა პროგრამები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მათთვის შესაბამისი სერვისების გეგმაზომიერი მიწოდება.

მესტიის მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობითა (მათ შორის ფინანსური) და ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, 2019 წლიდან დაბა მესტიაში ფუნქციონირებს კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებსა და მათ ოჯახებს უსასყიდლოდ სთავაზობს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის, ადრეული განვითარების, ხანდაზმულთა და შშმ პირთა შინმოვლისა და რეაბილიტაცია-სამკურნალო მასაჟის პროგრამებს.

აღნიშნული პროგრამები ხელმისაწვდომია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნებისმიერი ბენეფიციარისთვის, სამიზნე ჯგუფისა და ასაკობრივი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

მესტიის მუნიციპალიტეტში არსებობს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს სპეციალურ სარეაბილიტაციო და სპეციალურ საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებს. დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ დანართი 18.

დანართის სახით, აგრეთვე შეგიძლიათ იხილოთ ცხრილი მესტიის მუნიციპალიტეტში, პენსიის, სოციალური პაკეტების და საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის შესახებ (დანართი 19); ცხრილი ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვების რაოდენობა წლის განმავლობაში (პროფილაქტიკის ჩათვლით) (დანართი 20); და ინფორმაცია მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ (დანართი 21).

## განათლება, კულტურა და სპორტი

მესტიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ხარისხიანი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა, კულტურული რესურსების შენარჩუნება-ათვისება, ასევე ახალგაზრდებისა და ქალების თვითრეალიზება. საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული გარდაქმნების კვალდაკვალ მიმდინარეობს მუშაობა რეფორმების განხორციელებისთვის და შესაბამისი ბაზის შესაქმნელად.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, 2014 წლიდან ახორციელებს „მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტთა თანადაფინანსების" პროგრამას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა პირველკურსელი ერთჯერადად 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. 2014 - 2021 წლებში, პროგრამა გულისხმობდა 1000 (ათასი) ლარის თანადაფინანსებას, ხოლო 2022 წლიდან თანხა გაიზარდა 1500 ლარამდე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2014 - 2022 წლებში დაფინანსებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა შეადგენს 765-მდე სტუდენტს - 628 675 ლარის თანადაფინანსების ჯამური ოდენობით.

სკოლამდელი აღზრდა: მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის 24 დაწესებულება და 1 სასკოლო მზაობის ცენტრი. დაბა მესტიაში ფუნქციონირებს 2 ბაღი. სოფლებში ფუნქციონირებს 22 საბავშვო ბაღი, რომლითაც იფარება ყველა ტერიტორიული ერთეული.

2023 წლისთვის სულ დარეგისტრირებულია 444 აღსაზრდელი, მათ შორის გოგო - 218, ბიჭი - 226. 24 საჯარო სკოლა (1596 მოსწავლე), მესტიის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 228 პირი, აქედან 35 - აღმზრდელი პედაგოგია, ასევე დასაქმებულთაგან 195 არის ქალი. 35-დან 18 აღმზრდელმა გაიარა გადამზადების კურსი აღმზრდელ - პედაგოგის ტრენინგ მოდულის მიხედვით. გაიზარდა თანამედროვე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოებით საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხარისხი. ბოლო წლების განმავლობაში, ასევე, გაიზარდა თანამდებობრივი სარგოს პროცენტული მაჩვენებელი, 2011 წელთან შედარებით დაახლოებით 360%-ით.

ა(ა)იპ ბაღების გაერთიანების 2018-2022 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების მოცულობების სანახავად, იხილეთ დანართი 22.

საკონსულტაციო საბჭოები შექმნილია ყველა მოქმედ საბავშვო ბაღში. საკონსულტაციო საბჭოები შედგება 121 წევრისგან და მათგან ყველა ქალია. შშმ ბავშვის მშობელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დასახელებულია საბჭოს წევრად.

წელიწადში ორჯერ ხდება პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვასათან მიმართებაში გათვალისწინებულია შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებები. ძირითადი პრობლება არის მუნიციპალიტეტში შესაბამისი სპეციალისტების ნაკლებობა და სოფლებში შშმ ბავშვებისთვის საჭირო სერვისების არარსებობა. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში 3 შშმ აღსაზრდელია, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ჰყავს მხოლოდ მესტიის #1 და ყარ-სგურიშის საბავშვო ბაღებს. (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მესტიის #2 საბავშვო ბაღში სპეციალისტის შეთავსებით დასაქმება, სხვა საბავშვო ბაღებში ამჟამად შშმ აღსაზრდელი არ ირიცხება და სპეციალისტების არ არსებობის გამო, ინკლუზიური განათლების მიიღება არც არის შესაძლებელი).

კეთილმოეწყო არსებული ინფრასტრუქტურა და დაიგეგმა ახალი ობიექტების მშენებლობა.

2015-2023 წლებში აშენდა 11 ახალი საბავშვო ბაღი და მიმდინარეობს 3 (მუჟალი, მესტიის N1 საბავშო ბაგა-ბაღი და მაზერი) ბაღის მშენებლობა. ყველა ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტი შესაბამისობაშია თანამედროვე სტანდარტებთან, დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. ჭუბერის ცენტრისა და ლახამის საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადაპტირებული ფიზიკური გარემოთი.

მუზეუმები: სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი XXI საუკუნის საერთაშორისო სტანდარტების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, რომელიც სამეცნიერო კვლევასა და მომავალი თაობების აღზრდას ემსახურება. მუზეუმი ულტრათანამედროვე სტანდარტებით არის მოწყობილი. აქ მოსულ თითოეულ ვიზიტორს დახვდება არა მხოლოდ უნიკალური ექსპოზიცია, არამედ სვანური კერძებით წარმოდგენილი მრავალფეროვანი კაფეს და იშვიათი გამოცემებით მდიდარი წიგნების მაღაზია.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის N1 ფილიალში გვხვდება ავთენტური სვანური საცხოვრისი (“სვანური სახლ-კოშკ-მაჩუბი”), სადაც გაცოცხლებულია ძველი სვანების ყოფა და ტრადიციები. ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიული მუზეუმის N2 ფილიალი, მესტიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ყველაზე მისტიურ, ძველ და ულამაზეს ადგილას, უშგულის ადმინისტრაციული ტერიტორიის სოფელ ჩაჟაშში (UNESCO - ს დაცული ტერიტორიების ძეგლთა ნუსხაშია) - “უშგულის კოშკ-მუზეუმი”. დაბა მესტიაში ასევე გვხვდება მიხეილ ხერგიანის სახელობის სახლმუზეუმი, რომელიც ემსახურება ალპინიზმისა და სამთო სათხილამურო სპორტის განვითარებას.

2022 წელს მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 55 678 (როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი) ვიზიტორი, 2023 წლის აგვისტოს ბოლოს მონაცემებით მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა კი იყო 22 322 (როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი) ვიზიტორი.

სამუშაო ვერსია

სკოლის გარეშე დაწესებულებები: მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომლის დაქვემდებარებაშია: მესტიის სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „რიჰო“. ასევე, თვითმოქმედი ფოლკლორული ანსამბლებია: „ლატალი“, „ნენსკრა“, „ფარი“ და „ბეჩო“. მუნიციპალიტეტში არსებობს 6 კულტურის სახლი, ლ. ფილფანის სახელობის სახალხო თეატრი და სახელოვნებო სკოლა (ხატვა, მუსიკა, გობელენი, თექა, მეტყველება, სასცენო ხელოვნება, ცეკვა, ინსტრუმენტული მუსიკა).

მესტიის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სალოტბარო სკოლა, სადაც 50 მოსწავლე სხვადასხვა სოფლებიდან ეუფლება უძველეს სვანურ ფოლკლორულ სიმღერებს, საკრავებსა და საეკლესიო გალობას.

სულ წრეებით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენს 72 მოსწავლეს. ბენეფიციარები განთავისუფლებულნი არიან სწავლის საფასურის გადასახდელისგან.

კულტურული ღონისძიებები: მესტიის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა სახის მასშტაბური ღონისძიებები და ფესტივალები, რომლის მიზანიც არის ადგილობრივი სამზარეულოს პოპულარიზაცია, ადგილობრივი მეწარმეების/ოჯახების ხელშეწყობა და შიდა და საერთაშორისო მოგზაურების ნაკადის ზრდა.

მუნიციპალიტეტის ძირითად გამოწვევებს წარმოადგენს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და და სოფლებში ახალგაზრდული სივრცეების არ არსებობა.

სპორტი: მუნიციპალიტეტის 17-დან 14 ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედებს 11 სპორტული დარბაზი, 2 მინი კალათბურთის მოედანი, 14 ფეხბურთის სტადიონი, 1 საცურაო სპორტული კომპლექსი, 8 სპორტული კომპლექსი, 2 ფრენბურთის მოედანი. მოქმედებს სპორტის შემდეგი სახეობები: ძიუდო, ქართული ჭიდაობა, სამბო, კრივი, მეკლდეურობა, სნოუბორდი, სამთო თხილამური, ფრენბურთი, ფეხბურთი, საციგაო სპორტი, მკლავჭიდი, ჭადრაკი. სულ 376 სპორტსმენი და 66 მწვრთნელი.

ბიბლიოთეკები: მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 ბიბლიოთეკა. დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა შეადგენს 25 საშტატო ერთეულს. ბიბლიოთეკების გაერთიანების ბიუჯეტი შეადგენს 88 000 ლარს. წიგნადი ფონდი სასოფლო ბიბლიოთეკებში განთავსებულია კერძო მიტოვებულ სახლებში, შესაბამისად არაკომფორტული გარემო საშუალებას არ იძლევა სრულყოფილად მოემსახუროს მკითხველს. რაც შეეხება წიგნად ფონდს, მთავარ ბიბლიოთეკაში 2022-2023 წლის მდგომარეობით არის 24 123 წიგნი და მკითხველთა რაოდენობა 1000; მესტიის საბავშვო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არის 10 850 და მკითხველთა რაოდენობა 500; რაც შეეხება სოფლებში წიგნადი ფონდი სულ არის 41 292, ხოლო მკითველთა რაოდენობა 600.

## გარემოს დაცვა

მესტიის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანია. მისი ჰიფსომეტრიული სიმაღლე 800-დან 3600 მეტრამდეა. ტერიტორიაზე არსებული მსხვილი ოროგრაფიული ერთეულებია: კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, სვანეთის ქედი, ეგრისის ქედი, კოდორის ქედის ნაწილი და მდინარე

ენგურის ხეობა. მესტიაში თავმოყრილია კავკასიონის მთიანი მასივის მაღალი მწვერვალების უმრავლესობა, მათ შორის შხარა (5203 მ. ზღვის დონიდან), თეთნულდი (4858 მ.), უშბა (4700 მ.), ტიხტინგენი (4617 მ.), შხელდა (4368 მ.) და სხვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 200-მდე მყინვარია. ზედაპირული წყლები წარმოდგენილია მთავარი მდინარის ენგურისა და მისი შენაკადების აუზებით. ენგურის სიგრძე 213 კმ-ია, აუზის ფართობი 4060 კმ² . მთავარი შენაკადებია - მარჯვენა: ადიშისჭალა, ხალდეჭალა, მულხრა,

რუკა #2. მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია (2018)




დოლრაჭალა, ნაკრა, ნენსკრა; მარცხენა: თხეიში, ხუმფრერი, ლასილი, მაგანა, ჯუმი და სხვა. მდ. ენგურის აუზში საქართველოს მყინვარების ჯამური ფართობის 60%-მდეა თავმოყრილი. აქ 250-მდე დიდი და პატარა მყინვარია, რომელთა საერთო ფართობი მიახლოებით 300 კმ² შეადგენს. მნიშვნელოვანი მყინვარებიდან აღსანიშნავია: ენგურუხვანი, ხალდე, ადიში, წანერი, ნალები, ტვიბერი, ლეხზირი, ჭალაათი, დოლრა, ქვიშია, ლაჰლა და სხვა. [12] მდინარეები ენგური, მესტიაჭალა, ნენსკრა და სხვა, საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ რესურს წარმოადგენენ.

მესტიაჭალა წარმოადგენს მდ.მულხურას მარჯვენა შენაკადს. მისი სიგრძე 11 კილომეტრია. აუზის ფართობი კი 150 კმ². მდ. მესტიაჭალის ხეობა მესტიამდე ტროგულ ფორმას ინარჩუნებს, ხოლო მესტიის ქვემოთ სოფ. ლატალამდე ეროზიული პროცესების შედეგად ხეობის ძირი გარდაქმნილია. მიუხედავად ამისა, ძველი გამყინვარების კვალი ფერდობზე კარგად არის შემონახული. მდინარე ნენსკრის აუზი მდ.ენგურის შენაკადებს შორის ფართობით ყველაზე დიდია. ამ აუზზე მოდის მდინარე ენგურის აუზის მყინვარების საერთო რაოდენობის 24.90% და ამ მხრივაც ენგურის აუზი პირველ ადგილს იკავებს. მყინვარების ფართობის მიხედვით იგი ჩამორჩება მდ. მესტიაჭალას და ენგურის სათავეებს.

---

[12] წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია,სამუშაო ვერსია,2017

დ. მესტიაში საკანალიზაციო კოლექტორი არის, თუმცა არ არის მოწყობილი წყალგამწმენდი ნაგებობა და შესაბამისად, გაუწმენდავი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები, აგრეთვე მოქმედი საწარმოებისა და სამედიცინო დაწესებულებების არასრულად გაწმენდილი ჩამდინარე წყლები ჩაედინება რეგიონში არსებულ მდინარეებში. აღნიშნული გარემოება საგანგაშოა და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს როგორც მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოებისათვის, ისე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით[13].

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს და შესწავლილია წიაღის (ლითონები, არალითონები, წყალი) 336 საბადო. მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა ბარიტი, მარმარილო, ტყვია-თუთია, მოსაპირკეთებელი კირქვა, სახერხი ქვისა და ღორღის ნედლეული[14].

რეგიონში მრავლადაა მჟავე მინერალური წყლები. ისინი გამოირჩევიან სამკურნალო თვისებებით. ყველაზე ცნობილი არიან ბოჭკოლისა და ბეთქილის მინერალური ბუნებრივად გაზირებული მჟავე წყლები. ისინი ასევე გვხვდება სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც.

სვანეთი კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პროვინციაში შემავალ სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ რაიონებს შორის გამორჩეულია ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნებით. ამას განაპირობებს აქ კარგად გამოხატული კოლხური ტიპის ვერტიკალური სარტყლიანობის სრული სპექტრი - ტყის (ქვედა, შუა, ზედა), სუბალპური, ალპური, სუბნივალური და ნივალური ზონები, შესაბამისად ედაფური, კლიმატური პირობები, ფლორისა და მცენარეულობის ფორმირების ისტორია და სხვა. სვანეთიდან ცნობილია 1100 სახეობის ჭურჭლოვანი მცენარე, რომელიც გაერთიანებულია 92 ოჯახსა და 415 გვარში. აღსანიშნავია, რომ სვანეთიდან აღწერილია მეცნიერებისთვის 45 ახალი სახეობა და მათი გავრცელების კლასიკური ადგილი სხვადასხვა ხეობები, ჰაბიტატები და ვერტიკალური სარტყლებია[15]. წიწვოვანი ტყეები 800-900 მეტრიდან გვხვდება, ხოლო ალპური სარტყელი 2450-2500-დან 3100-3200 მეტრამდე ვრცელდება. აქ გვხვდება ფართოფოთლოვანი ტყეები, რომელთა შემადგენლობაშია ქართული მუხა, კავკასიური რცხილა, ცაცხვი, მთის ნეკერჩხალი და სხვა (*ურუშაძე, 2013*).

მუნიციპალიტეტის ტყის ფონდის საერთო ფართობი 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 129.170 ათას ჰექტარს (Kha), რაც არის მესტიის ტერიტორიის 42%. ტექნიკური პროექტების, მათ შორის გზების, ჰიდროელექტროსადგურების და სხვა ინფრასტრუქტურული/ტურისტული პროექტებისთვის (როგორიცაა მაგალითად საბაგირო ხაზი ჰაწვალში) ტყის ტერიტორიის გამოყოფის აუცილებლობის გამო (რამაც, შესაბამისად, ამორიცხა ტყის ფონდიდან) 2011-2023 წლებში ტყის ფონდი შემცირდა 1843 ჰექტარით, რითაც ხის საფარი 1.40%-ით შეამცირა. სატყეო მიწები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არ არის.

მესტიის მუნიციპალიტეტის ხედვით, ტყე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ბიოსფეროს ეკოლოგიური წონასწორობისთვის. ტყეს ცოცხალი ორგანიზმებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. იგი ბიოსფეროს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რადგან ტყე როგორც მცენარეებისა და ხეების უზარმაზარი რეზერვი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ატმოსფეროში ჟანგბადის და

---

[13] წყარო: საქართველოს მთავრობის, განკარგულება №1372, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის
[14] წყარო: წიაღის ეროვნული სააგენტო
[15] წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი & სს „ინსტიტუტი იგჰ", საქართველოს ფილიალი, 2019

ნახშირორჟანგის დონის დაბალანსებაში, არეგულირებს წყლის ნაკადებს, იცავს ნიადაგს ეროზიისგან და ხელს უწყობს ატმოსფეროს ტემპერატურის შენარჩუნებას.

ტყეს, გარდა სამრეწველო დანიშნულებისა, ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და კლიმატმარეგულირებელი ფუნქციც აქვს. რეგიონში ძირითადად გავრცელებულია ტყის ყომრალი (Cambisols) ნიადაგის ტიპი თავისი ორი ქვეტიპით: ყომრალი მჟავე და ყომრალი გაეწერებული. ასევე მთა-მდელოს (Leptosols Umbric) ტიპის ნიადაგი კორდიანი ქვეტიპით. ყორმალი ნიადაგი ხასიათდება მჟავე და ნეიტრალურისკენ რეაქციით (pH 5,5-7)  და მთა-მდელოს (Leptosols Umbric) მჟავე რეაქციით (pH 4,0-6,5), რაც განაპირობებს ნიადაგში არსებული ორგანული და მინერალური ნივთიერებების სწრაფ ხსნადობას და მიგრაციას. მექანიკური შედგენილობით - მთა-მდელოს ნიადაგები საშუალო და მძიმე თიხნარებს მიეკუთვნება, იშვიათად მსუბუქ თიხებს[16].

ფლორა და სამკურნალო მცენარეები მესტიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმდიდრეა. სუბალპური ფიტოლანდშაფტის ფრიად მნიშვნელოვანი შემადგენელია ბალახეული საფარი. სამკურნალო მცენარეები უფრო მეტად ველურად მზარდი არიან, და მოიპოვებიან მოსახლეობასთან ახლოს ან ტყეებში. მხოლოდ რამოდენიმე მკურნალი მცენარეა შესწავლილი, მათ შემადგენლობაშია ქრისტესისხლა (*Chelidonium majus L.)*,  გვირილა (*Lecanthemum vulgare subsp. vulgare*), ასკილი (*Rosa canina L.*), ანწლი (*Sambucus ebulus L.*), დიდგულა (*Sambucus nigra L.*), ქრისტესბეჭედა (*Sanicula europaea L.*), ა.შ. ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ 23-ე დანართში.

მესტიის მუნიციპალიტეტში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს გათბობის ისეთი სისტემებით სარგებლობის პრაქტიკა, რომლებიც საწვავად შეშას იყენებენ (სვანური ღუმელი, ბუხრები ა.შ.). აგრეთვე, ჰაერის დაბინძურებას იწვევს მცენარეული ნარჩენების - ფოთლების და ბიომასის სხვა ელემენტების წვა. აგრეთვე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვი, რომელიც არა მხოლოდ მესტიის მუნიციპალიტეტში არამედ, მთელ საქართველოში ჰაერის დაბინძურების მთავარი და ყველაზე მაშტაბურ წყაროდ ითვლება.

ორგანული საწვავისა და სხვა ნივთიერების წვისას წარმოქმნილი ნაერთები ატმოსფეროს მთავარი დამაბინძურებლებია. ჰაერის დაბინძურება ყველაზე უჩინარი დაბინძურებაა. პრაქტიკულად უხილავია ჰაერის ისეთი ნივთიერებით დაბინძურება, როგორიცაა (*ქოჩლაძე, 2017*), ნახშირბადის მონოოქსიდი (CO), არომატული ორგანული ნაერთები, ქლორფტორნახშირწყალბადების (CFCs–chloroflurocarbons), ჰიდროფტორნახშირბადებით (HCFCs–hydrochlorofluorocarbons), ნახშირჟანგი (CO2), აზოტის (NO2) და გოგირდის ოქსიდები (SO2) , ნახშირწყალბადები (HC),  და სხვა. ჰაერის დაბინძურება გავლენას ახდენს მცენარეულობაზე, კლიმატზე, ეკოსისტემებზე, ასევე შენობებზე, ძეგლებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამიტომ აუცილებელია ჰაერის დაბინძურების დაძლევა და ამ მიზნით საჭიროა კონკრეტული ზომების მიღება.

საქართველოში 2016 წლიდან რეგიონებში, ისევე როგორც დედაქალაქში დაიწყო არაავტომატური სადგურების შეცვლა თანამედროვე ავტომატური სადგურებით და ამასთანავე, ახალი სადგურების მონტაჟი.[17] აღსანიშნავია, რომ მოცემულ ეტაპზე დაბა მესტიაში დამონტაჟებულია ჰაერის ხარისხის მზომი დანადგარი, რეკრეაციული არეალის მიმდებარე ტერიტორიაზე.

---

[16] წყარო: ( საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი & სს „ინსტიტუტი იგჰ", საქართველოს ფილიალი,2019)
[17] წყარო : https://air.gov.ge/pages/14/14

სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიში გამოვლინების თვალსაზრისით, მესტიის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია საქართველოს რეგიონებს შორის. აღნიშნულს განაპირობებს მდ. ენგურის წყალშემკრები აუზის მთიანი, ძლიერდანაწევრებული რელიეფი და რთული გეოლოგიური აგებულება, კლიმატურმეტეოროლოგიური პირობები და გეოლოგიურ გარემოზე ანთროპოგენული ზემოქმედების მზარდი მასშტაბები.[18]

ბუნებრივი კატასტროფებიდან დამახასიათებელია წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, მდ. ნაპირების ჩამორეცხვა და მიწის ეროზია. მათგან ყველაზე ხშირია მეწყერი, შემდეგ წყალდიდობა და ღვარცოფი. მდინარის ადიდების შედეგად ხდება მდინარისპირა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ჩამორეცხვა და განადგურება. ბოლო წლებში დაიმეწყრა სოფლები: ჭუბერი, ბეჩო, ცხუმარი, ნაკრა, იფარი, წვირმი, მულახი, ლახამულა, ხაიში, ეცერი და დ.მესტია. ხშირად იმეწყრება დაბა მესტიაში გელოვანის, აღმაშენებლისა და ფირცხელანის ქუჩები, მთა ბანგურიანის ფერდობი, ქორულდის მთა. ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის არა მარტო საცხოვრებელ სახლებს, არამედ სახნავ-სათეს ფართობებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. წყალდიდობა და მეწყერი თითქმის ყველა სოფელში აზიანებს შიდა სასოფლო გზებსა და ხიდებს. მესტიის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი კატასტროფების შესახებ ცხრილი შეგიძლიათ იხილოთ 24-ე დანართში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა ხის გადამამუშავებელი საამქროები, რომლებიც განლაგებულია მდინარეების ნაპირებთან ახლოს. მათგან ხის ნარჩენები გვხდება გზის კიდეებზე, მდინარის ნაპირებთან ან სახერხი საამქროების ტერიტორიაზე. ხის ნარჩენების დაგროვება მუნიციპალიტეტის გარემოზე უარყოფითად ზემოქმედებს, მათ შორის ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ჰაბიტატების განადგურება და სათბურის გაზების ემისიების გაზრდა. ნახერხი რომელიც ადვილად ხვდება მდინარეებში, იწვევს თევზის ჰაბიტატების დაზიანებას (ილუპება თევზი).

რეგიონში ხის ნარჩენების მენეჯმენტის არასათანადო პრაქტიკა ქმნის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების, თევზის ჰაბიტატის დაბინძურებისა და განადგურების რისკებს. ხის ნამსხვრევები, ნახერხი და გამონაჟონი მყარი ინერტული ნივთიერებაა და გვევლინება ტოქსიკურ დამაბინძურებელ წყაროდ, რომელიც პირდაპირ კეტავს თევზის ლაყუჩებს (თევზის სუნთქვის ორგანო) და ირიბად ამცირებს სინათლის შეღწევას (Nwankwo and Akinsoji, 1989) (ირღვევა ფოტოსინთეზის პროცესი). ეს ზღუდავს წყლის გარემოს პროდუქტიულობას და ხდის წყლის ორგანიზმს დაუცველს (FAO, 1991). განსაკუთრებით სუსტდება თევზის იმუნური სისტემა, რაც იწვევს პარაზიტების გახშირებას.[19]

2023 წლის 18 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და მესტიის მუნიციპალიტეტის შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

---

[18] წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია,სამუშაო ვერსია,2017

[19] წყარო:Francis O. Arimoro, Robert B. Ikomi and Efe C. Osalor, 2006, *The Impact of Sawmill Wood Wastes on the Water Quality and Fish Communities of Benin River, Niger Delta Area, Nigeria*, Department of Zoology, Delta State University, P.M.B. 1, Abraka, Nigeria, World Journal of Zoology 1 (2): 94-102, 2006 , ISSN 1817-3098,© IDOSI Publications

**ნარჩენების მართვა**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალური ნარჩენების მართვა არის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით კომპონენტს. საკითხის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, 2030 წლისთვის მსოფლიოს მდგრადი განვითარების მიზნებში არის მოხვედრილი გარემოს საფრთხეთა შორის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გლობალური კლიმატის ცვლილების პროცესში. შესაბამისად, სახელმწიფოში ნარჩენების მართვა რეგულირდება ,,ნარჩენების მართვის კოდექსით“. ასევე, მიღებულია 15 წლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელსაც მუნიციპალიტეტებმა შეუსაბამეს საკუთარი 5 წლიანი მუნიციპალური გეგმები. მესტიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დამტკიცდა მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის რიგით მეორე 5-წლიანი სამოქმედო გეგმა.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და გატანას ახორციელებს ა(ა)იპ „მესტიის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“, რომელიც მოცემულ ეტაპზე მთელი მოსახლეობის 70%-ს ემსახურება. მუნიციპალიტეტს აქვს ერთი (დაბა მესტია, ბ.კახიანის ქუჩა) მყარი ნარჩენების გადამტვირთი სადგური და სამშენებლო ნარჩენისთვის განკუთვნილი შემოსაზღვრული პოლიგონი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების საშუალო კოეფიციენტი დღე-ღამეში შეადგენს 1,4 კგ-ს. წლიურად, გადამტვირთი სადგური უზრუნველყოფს დაახლოებით 10 000 მ3 საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატარებას. მუნიციპალიტეტში დანერგილია მომსახურების კონტეინერული სისტემა. კონტეინერების რაოდენობა და მახასიათებლები შეგიძლიათ იხილოთ 25-ე დანართში.

მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენის შეგროვებას ემსახურება ექვსი ნაგავშემკრები მანქანა და სამი ძარიანი ავტომობილი (მათ შორის, ერთი მაღალი გამავლობის). ასევე, ერთი ერთეული სპეციალური კომბინირებული (მრეცხავი, მარილმყრელი) მანქანა. მყარი ნარჩენების მოგროვების ჯერადობა და ჯამური წლიური მოცულობა შეგიძლიათ იხილოთ 26-ე დანართში.

მესტიის მუნიციპალიტეტში გარემოში ნარჩენების უკონტროლო განთავსების გადაწყვეტის მიზნით ბოლო ათი წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ 27-ე დანართში.

აგრეთვე, მუნიციპალიტეტის მიერ ნარჩენების მართვის მიზნით ჯამური დახარჯული თანხა და დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებით მიღებული შემოსვლის ოდენობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ 28-ე დანართში.

2020 წელს დ.მესტიაში აშენდა და კეთილმოეწყო შესაბამისი სამსახურისთვის საოფისე შენობა (186 457.00 ლარი)

2021-2022 წლებში შემოიღობა შესაბამისი სამსახურის საქმიანი ეზო და რებილიტირდა სასაწყობე და ავტოფარეხების ფარები (468 630.45 ლარი).

დიაგრამა #23. ნარჩენების მართვის მომსახურების დაფარვის დინამიკა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით: 2013-2021 წწ.




2022 წლიდან მესტიის მუნიციპალიტეტი, ნარჩენების მართვის მიმართულებით პროდუქტიულად თანამშრომლობს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან ,,დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში.

მესტიის მუნიციპალიტეტის კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურების, მოსახლეობის როდენობისა და წარმოქმნილი ნარჩენის სავარუდო მოცულობიდან გამომდინარე, მესტიის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების სისტემა უნდა ემყარებოდეს დადგენილი გრაფიკით კონტეინერულ მომსახურეობას, ხოლო შეგროვებული ნარჩენის დროებითი განთავსება უნდა ხდებოდეს ნარჩენების გადამტვირთავ სადგურებზე. ამისათვის, მუნიციპალიტეტში გარდა დ. მესტიისა აუცილებელია, რომ არსებობდეს კიდევ ერთი დამატებითი სადგური. აღნიშნული მიზნით, 2021 წლის 25 ივნისს, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოსცა განკარგულება N17 ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“. კერძოდ, ხაიშის ტერიტორიულ ერთეულში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3817.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: 42.16. 41.171).

მუნიციპალური ნარჩენების ინტეგრირებული, მდგრადი მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაციებია: მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები, ა(ა)იპ მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, საწარმოები რომლებიც მათი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე ვალდებული არიან დაიცვან შემდეგი ძირითადი

პრინციპები: გარემოსდაცვითი, ტექნიკური/საოპერაციო, ფინანსური, სოციალ-ეკონომიკური, ინსტიტუციონალური/ადმინისტრაციული, პოლიტიკური და საკანონმდებლო.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მყარი, საყოფაცხოვრებო ნარჩენი მოიცავს შემდეგ, ძირითად ფრაქციებს:

**ორგანული:** რომლის გარკვეული ნაწილი გამოიყენება საოჯახო მეურნეობებში, შინაური ცხოველების საკვებად. ხოლო, ხე-ტყის დამუშავების შედეგად წარმოებული ნარჩენის მეორადად გადამუშავება ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს. თუმცა, მუნიცალიტეტის მიერ გაცემული იქნა ნაკრას ტერიტორიულ ერთეულში ხის ბრეკეტების დამამზადებელი საამქროს მშენებლობის მიზნით (მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N 20/01 2021 წლის 09 ივნისი) ნებართვა, თუმცა საწარმოოს აღჭურვის პროცესი მოცემული დროისთვის არ დასრულებულა.

**მეტალი:** ამ ტიპის ნარჩენს მოსახლეობა აბარებს, როგორც შედარებით მაღალი ღირებულების მეორად ნედლეულს, ამიტომ მეტალის წილი არის მცირე.

**მინა:** მინის წილი, არსებული მდგომარეობით არის შედარებით მცირე, რადგან მეორადად გამოიყენება მომხმარებლის მიერ. აღნიშნული მიმართულებით, მნიშვნელონვანია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების კომპონენტი.

**ქაღალდი:** ქაღალდის ცალკე შეგროვება ამ ეტაპზე არ ხორციელდება.

**სამშენებლო ნარჩენი:** დაბაში და მის უახლოეს მიმდებარე დასახლებებში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენი იყრება მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ, დ. მესტიაში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ფართობით 6000 კვ.მ) თუმცა, მოცემული პოლიგონი ამჟამინდელი შევსების მაჩვენებლის გათვალისწინებით საკმარისი იქნება, მხოლოდ 2024 წლის ბოლომდე. 2025 წლიდან, მუნიციპალიტეტს აღნიშნული მიზნით დასჭირდება ახალი ფართობის გამონახვა (დაახლოებით - 10 000 კვ.მ ფართი).

**სამედიცინო ნარჩენი:** მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება და 16 ამბულატორია, ხოლო სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის მართვას ახორციელებს ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“, რომელიც ასევე, უზრუნველყოფს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვას.

ნარჩენის ქიმიური შემადგენლობის შესასწავლად სპეციფიური კვლევები არ ჩატარებულა და გეგმაში ასახული მაჩვენებელი ემყარება, მხოლოდ ადგილზე, დაბინძურებული ტერიტორიების ვიზუალურად შესწავლას. მომდევნო 5 წლის განმავლობაში, წარმოქმნილი ნარჩენის ზრდის

საპროგნოზო მაჩვენებლად მიჩნეულია დაახლოებით 12%, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური აქტივობის ზრდის დინამიკის გათვალისწინებით.

მუნიციპალური სამსახურების მიერ, პერიოდულად ტარდება ისეთი არეალების დასუფთავების აქციები, რომელთაც მუნიციპალური მომსახურება ვერ ფარავს. აღნიშნული აქციები, აგრეთვე მიზნად ისახავს საზოგადოების ყველა სეგმენტის ჩართულობას გარემოსდაცვით აქტივობაში, რომელთა ფარგლებშიც დასუფთავებულ არეალებზე ხდება თემატური ბანერების განთავსება და თემატური საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციების გასაჯაროებას პერიოდულად უზრუნველყოფს: ააიპ მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ადმინისტრირებული ფეისბუქ-გვერდი, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდები, ფეისბუქ-გვერდები, საინფორმაციო ელექტრონული წყარო ,,სვანეთინიუსი“, მერიისა და საკრებულოს ყოველთვიური გაზეთი.

ნარჩენების მართვის პროცესში მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მხოლოდ ერთი გადამტვირთი სადგურის არსებობა, რომელიც თავის მხრივ ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს არახელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო (აეროპორტთან და მოსახლეობასთან სიახლოვე). პრობლემას წარმოადგენს, სამშენებლო ნარჩენის განსათავსებელი, არსებული პოლიგონის შევსება, ხოლო ახალი პოლიგონისთვის ტერიტორიის არქონა. მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესება იურიდიული პირებისგან თუმცა, მოსახლეობა დღემდე არ იხდის აღნიშნულ გადასახდელს, რაც აფერხებს ნარჩენების მართვის პროცესის განვითარებას. მუნიციპალიტეტის იმ თემებში სადაც მიმდინარეობს ხე-ტყის გადამუშავება, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საწარმოო ნარჩენით გარემოს დაბინძურება.

## მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის მერია. მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია ძირითადი სახელმწიფო სერვისები, კერძოდ დ. მესტიაში, როგორც მუნიციპალურ ცენტრში არსებობს მუნიციპალიტეტის მერია და 10 მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, იუსტიციის სახლი, სურსათის ეროვნული სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, სოფლის განვითარების სააგენტო, რაიონული სასამართლო, პოლიცია, ეროვნული არქივი. აღსანიშნავია, რომ

სამუშაო ვერსია

სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა დაბალია მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, ვინაიდან ისინი მოშორებულები არიან მუნიციპალიტეტის ცენტრს და ამ ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

მესტიის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია რამდენიმე კომერციული ბანკი: ,,საქართველოს ბანკი", ,,ლიბერთი ბანკი", ,,ბაზის ბანკი" და ,,კრედო ბანკი". ასევე ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ,,ლაზიკა კაპიტალი". დაბა მესტიაში წარმოდგენილია სამი ქსელური მარკეტი: ,,სპარი", ,,ნიკორა", ,,მაგნიტი" და ასევე სამშენებლო მასალების მარკეტი. ქსელური აფთიაქებიდან წარმოდგენილია ,,ავერსი" და ,,ფარმადეპო", ასევე ადგილობრივი მაცხოვრებლის მიერ გახსნილი სააფთიაქო ქსელი. ასევე, - საქართველოს ფოსტის ფილიალი. დაბაში ფუნქციონირებს სილამაზის სამი სალონი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუნიციპალიტეტში არ არის ხელმისაწვდომობა ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფო მომსახურებაზე, როგორიცაა შემოსავლების სამსახური, აუდიტის მომსახურება და სხვა. ამჟამად არ არის წარმოდგენილი შსს მომსახურების სააგენტო.

მუნიციპალიტეტს საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით გაფორმებული აქვს სხვადასხვა მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და შეთანხმებები, შემდეგ სტრუქრუტებთან:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან;
2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან;
3. ა(ა)იპ საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან;
4. სსიპ კოლეჯ ,,თეთნულდთან";
5. საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობებისა და საცხენოსნო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან;
6. ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან;
7. სსიპ საქრთველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან.

2021 წლიდან მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში, საკრებულოში, ა(ა)იპ მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურში, ასევე, ააიპ ახალგაზრდულ თვითმმართველობაში, სსიპ მუნიციპალური განვითარების სააგენტოს (MSDA) მიერ, დანერგილია ელექტრონული მმართველობის და მომსახურების სხვადასხვა მოდულები: დოკუმენტბრუნვა, კანცელარია, ადამიანური რესურსების მართვა, მაღალმთიანი და სოციალური სერვისები, ონლაინ განცხადებები, ინტერაქტიური რუკა, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი, შენი იდეა მერს, ნარჩენების მართვა, მოქალაქეთა დახმარება, ქონების აღრიცხვა და მუნიციპალური კალენდარი, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ მოქალაქეთა მოთხოვნებისა და სხვა სახის დოკუმენტაციის შესწავლა-რეაგირების დრო მნიშვნელოვნად შემცირდეს, თუმცა, მოცემულ ეტაპზე ელექტრონული მმართველობის პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს ელექტროენერგიისა და მაღალი ხარისხის უწყვეტი ინტერნეტის არქონა.

სამუშაო ვერსია

მოცემულ ეტაპზე აქტიურად გამოიყენება დოკუმენტბრუნვის, კანცელარიის (განმცხადებელთან SMS უკუკავშირის ფუნქციით), ადამიანური რესურსების მართვის და ნარჩენების მართვის მოდულები.

მესტიის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის საჯაროობას და მოქალაქეთა ჩართულობას უზრუნველყოფს შემდეგი საინფორმაციო საშუალებები:

- მესტიის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი - Mestia.gov.ge;
- მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოველთვიური, ბეჭდური საინფორმაციო გამოცემა ,,ლილე", რომელიც ასევე მოიცავს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის გაზეთს - ,,მესტიის მუნიციპალიტეტი";
- საინფორმაციო სააგენტო ,,სვანეთინიუსი/SvanetiNews", რომელიც ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ მოსახლეობას ელექტრონულად აწვდის;
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ფეისბუქ გვერდები: ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერია" და ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო".

ადგილობრივი თვითმმართველობის შეფასების ინდექსის (LSG) 2021 წლის მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით, 2022 წელს მუნიციპალიტეტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას ,,სამეგრელოს ხმა" შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზე განხორციელდა შვიდთვიანი ერთობლივი პროექტი. შედეგად, პროექტის მიმდინარეობის პროცესში განხორციელებული თვითშეფასებით, მუნიციპალიტეტის პროგრესის მოსალოდნელი მაჩვენებელი მიმდინარე წლის შესაფასებელი პერიოდისთვის დაახლოებით 30 %-ია.

2022 წლის 1 იანვრიდან დაიწყო მთელი ქვეყნის მასშტაბით მიწის სისტემური რეგისტრაცია, რომელიც მიწებს სისტემური წესით ეტაპობრივად აზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებს დაარეგისტრირებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში 2023 წლის 9 ივნისის მონაცემით დარეგისტრირებულია 773 მიწის ნაკვეთი.

მესტიის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს სულ 17 ბიბლიოთეკა. თუმცა მათგან არცერთია იდლიანში, კალაში, ლენჯერში, ჭუბერში და ხაიშში.

მესტიის მუნიციპალიტეტში საკმაოდ პრობლემატურია უპატრონო და უმეთვალყურეო შინაურ ბინადარ ცხოველთა საკითხი. ქუჩაში მცხოვრები ცხოველები ხშირად ექვემდებარებიან ჯანმრთელობის სხვადასხვა რისკებს, მათ შორის არასრულფასოვან კვებას, დაავადებებსა და დაზიანებებს. აგრეთვე, არსებობს სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ცოფის ინფექციის რისკი, რისი დაზღვევაც მნიშვნელოვანია როგორც ცხოველების, ასევე საზოგადოების უსაფრთხოებისთვის. ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის სპეციალური ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილია შინაურ ბინადარ ცხოველთა დეჰელმენტიზაცია, კასტრაცია/სტერილიზაცია და ვაქცინაცია. ინიციატივის ფარგლებში ამჟამად განხორციელდა პირველი და მეორე ეტაპი. შინაურ ბინადარ ცხოველებზე დაკვირვებამ აჩვენა რომ მუნიციპალიტეტში აუცილებელია ცხოველთა თავშესაფრის არსებობა, ასევე აჟამად არ არსებობს ვეტკლინიკა და ვეტაფთიაქი. რთულად ხელმისაწვდომია ვეტერინარიც.

**ბიუჯეტის შემოსულობები** - 2022 წლის მონაცემების მიხედვით ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენს 30.4 მლნ. ლარს, საიდანაც 51% არის საკუთარი შემოსავლები, ხოლო 41% არის გრანტები. რაც შეეხება 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს, 31.9 მლნ. ლარიდან, ინფრასტრუქტურაზე

დახარჯულია მთლიანი გადასახდელების 55%, განათლებაზე 9.4%, ხოლო სოციალურ ხარჯებს დაეთმო - 3.2%. 2022 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა 300 000 ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 1%-ს შეადგენს. ერთ სულ მოსახლეზე (მესტიის მუნიციპალური ბაზის მიხედვით სულ მოსახლეობის რაოდენობა 11 575) ბიუჯეტის ხარჯების მოცულობა შეადგენს 2753 ლარს.

2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა დაახლოებით 20%-თ.

ქვემოთ, დიაგრამის სახით იხილავთ მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და ხარჯების 2013-2022 წლების, და აგრეთვე რამდენიმე ძირითადი კატეგორიის მონაცემთა დიაგრამებს, რაც საინტერესოა მუნიციპალური ბიუჯეტის ზედაპირული ანალიზისთვის.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2013-2022 წლების შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ დიაგრამები შეგიძლიათ იხილოთ 29-ე დანართში.

## SWOT ანალიზი

**ძლიერი მხარეები:**

1. მდიდარი ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობები, მათ შორის ავთენტური არქიტექტურა, მუზეუმები, ტრადიციები, ფოლკლორი და UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შემავალი ძეგლი.
2. მდიდარი ბუნებრივი რესურსები, როგორიცაა ხე-ტყე, ჰიდროენერგია, მინერალები, მზის ენერგია, წყალი.
3. ტურისტული სერვისებისა და პროდუქტების მრავალფეროვნება, მათ შორის სათხილამურო კურორტები, სალაშქრო მარშრუტები და საერთაშორისო ღონისძიებები.
4. ექსტრემალური ტურიზმის მრავალფეროვანი ლოკაციები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.
5. ბიომრავალფეროვნება, სუფთა გარემო და უნიკალური გეოგრაფიული მახასიათებლები.
6. უნიკალური და ტრადიციული აგროკულტურული პრაქტიკები და პროდუქტები.
7. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, აეროპორტი და ავიატრანსპორტი, კერძო საქალაქთაშორისო და შიდა ტრანსპორტი.
8. ძირითადი და საჯარო ინფრასტრუქტურა: წყალი/წყალარინები, გარე განათება, საჯარო და საგანმანათლებლო დაწესებულებები.
9. ჯანდაცვის ძირითადი ინფრასტრუქტურა: საავადმყოფო, გადაუდებელი დახმარების სერვისი და სარეაბილიტაციო ცენტრი.
10. სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და სერვისების მრავალფეროვნება.

სამუშაო ვერსია

11. სხვადასხვა სათემო დაწესებულებები, მათ შორის მრავალფუნქციური ცენტრები, კულტურის სახლები, სპორტული კომპლექსები.
12. ძირითად საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა მუნიციპალურ ცენტრში.

**გამოწვევები:**

1. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა და წყობიდან გამოსული ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურა.
2. ადგილობრივი ეკონომიკის არასაკმარისი დივერსიფიკაცია და რამდენიმე სექტორზე დამოკიდებულება.
3. მკაცრი კლიმატის გამო ინფრასტრუქტურული გამოწვევები.
4. ბუნებრივი რესურსების არამდგრადი/უკონტროლო გამოყენება.
5. სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაუმართაობა.
6. საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობა.
7. ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის გეგმის არარსებობა.
8. არასაკმარისი გარემოსდაცვითი რეგულაციები, პოლიტიკა და ექსპერტიზა.
9. დაბალი სიჩქარის უხარისხო ინტერნეტი.
10. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური სტატისტიკის შეგროვების მექანიზმების არარსებობა.
11. ადმინისტრაციული შენობებისა და ძირითადი საჯარო სერვისების ნაკლებობა ადმინისტრაციულ ერთეულებში.
12. ლაბორატორიების, ვეტერინარული კლინიკებისა და შესაბამისი დარგობრივი ცოდნის ნაკლებობა/არარსებობა.
13. ურბანული კეთილმოწყობის უკმარისობა, როგორიცაა შშმ პირებზე ადაპტირებული ინფრასტრუქტურა და პარკინგის ადგილები.
14. სპეციალიზირებული სერვისების ნაკლებობა: ბიბლიოთეკები, სკვერები, სამუშაო/ახალგაზრდული სივრცეები, წიგნის მაღაზიები.
15. უმუშევრობის მაღალი დონე და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობის მაღალი რაოდენობა.
16. არასრულყოფილი ნარჩენების მართვის სისტემა.
17. სოციალური და ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლების არასაკმარისი კვალიფიკაცია და ჯანდაცვის სერვისების არასრული სპექტრი.
18. ადმინისტრაციული ერთეულებიდან მუნიციპალურ ცენტრამდე მანძილი და შესაბამისი საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა.

სამუშაო ვერსია

19. ტურიზმის სექტორში სერვისის მიწოდების საშუალო ან დაბალი დონე.

**შესაძლებლობები:**

1. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და განახლებადი ენერგიების სხვადასხვა წყაროების დანერგვა.
2. ბუნებრივი რესურსებიდან მიღებული სარგებლის ადგილობრივი მოსახლეობისა და განვითარების მხარდასაჭერად გამოყენება.
3. გარემოსდაცვითი სამართლებრივი ჩარჩოებისა და სტრატეგიების შემუშავება და დანერგვა.
4. დაცული ტერიტორიების განსაზღვრა და განვითარება.
5. ურბანული განვითარებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება და დანერგვა.
6. ბუნებრივი კატასტროფებისადმი მოწყვლადი უბნების და მოსახლეობის დასაცავად ღონისძიებების განხორციელება.
7. კულტურული ძეგლებისა და ობიექტების განახლება/რესტავრაცია.
8. საკვანძო ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება, მათ შორის საგანმანათლებლო/სამედიცინო დაწესებულებები, შიდა გზები/ხიდები, წყალი/წყალარინი, ადმინისტრაციული შენობები, ამბულატორიები.
9. სპეციალიზირებული სერვისების/სივრცეების გაჩენის მხარდაჭერა, როგორიცაა ბიბლიოთეკები, სკვერები, სამუშაო/ახალგაზრდული სივრცეები, წიგნის მაღაზიები და სხვა.
10. მუნიციპალური სტატისტიკის შეგროვების სისტემის შემუშავება და დანერგვა.
11. ტრანსპორტირების სქემების განვითარება უკეთესი ხელმისაწვდომობისთვის, მათ შორის სახმელეთო და ავიატრანსპორტი.
12. ეფექტური საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის დანერგვა თემებიდან მუნიციპალურ ცენტრამდე.
13. საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ადგილების ადაპტირება შშპ პირების საჭიროებებზე.
14. გადაუდებელი დახმარების სერვისებისა და ჯანდაცვის სექტორში დასაქმებულთა უნარჩვევების გაფართოება/გაუმჯობესება.
15. სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება, მ.შ. ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების პოპულარიზაციის და მუნიციპალური აგრარული ბაზრის გაჩენის ხელშეწყობა.
16. ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება.
17. ტურიზმის სექტორის გაუმჯობესების ხელშემწყობი საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელება.

სამუშაო ვერსია

18. სპორტული და კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.
19. მოსახლეობის შესაძლებლობების განვითარება საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობის გზით.
20. არსებული მუნიციპალური სერვისების/პროგრამების განვითარება და მოსახლეობის საჭიროებებზე სისტემატური ადაპტაცია.

**საფრთხეები:**

1. გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ტურიზმს, ეკონომიკის სხვა სექტორებსა და ინვესტიციების მოზიდვას.
2. გლობალური საფრთხეები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, მყინვარების დნობა, მოულოდნელი ბუნებრივი კატასტროფები, პანდემიები.
3. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეკონომიკური საფრთხეები, მაგ. სეზონური თოვლის საფარის შემცირება.
4. გარემოს დაბინძურება და არასაკმარისი საკანონმდებლო პრაქტიკა.
5. ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობისგან გამოწვეული რისკები, როგორიცაა არასტაბილური ელექტროენერგია და ახალი მომხმარებლების ელექტროფიცირების შეუძლებლობა.
6. ახალგაზრდების გადინება მუნიციპალიტეტიდან.
7. ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის არასაკმარისი ფინანსური რესურსები.
8. ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად გარემოს დეგრადაცია.
9. ბუნებრივი რესურსების არამდგრადი/ჭარბი მოპოვება.
10. გადაჭარბებული ტურიზმი და შესაბამისი რისკები.
11. სოფლის მეურნეობიდან მოსახლეობის გადართვა ტურიზმზე.
12. მოსახლეობაში ჭარბი ვალდებულებები მაგ. საბანკო სექტორისადმი.
13. გრძელვადიანი ხედვის დანერგვის სირთულე.
14. სოფლის მეურნეობაში მავნე ქიმიური საშუალებების გამოყენება.

სამუშაო ვერსია

# თავი II – ხედვა, მიზნები, ამოცანები და აქტივობები

## ხედვა

მესტიის, როგორც მდგრადი ტურისტული ცენტრის გლობალური პოზიციონირების გასაძლიერებლად შევინარჩუნებთ და ღირსეულად წარმოვაჩენთ სვანეთის კულტურულ, ისტორიულ და არქიტექტურულ მემკვიდრეობას; დავნერგავთ განახლებადი ენერგიის გადაწყვეტილებებს, ხელს შევუწყობთ

ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდას, სოციალურ კეთილდღეობასა და დინამიურ ინფრასტრუქტურულ განვითარებას. მდგრადი განვითარების და ადგილობრივი ბიოპროდუქტების წარმოების მხარდაჭერით ჩვენ გავაუმჯობესებთ ცხოვრების ხარისხს ყველა მაცხოვრებლისთვის და შევქმნით ეკოლოგიურ ინიციატივებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებულ დივერსიფიცირებულ ეკონომიკას.

## მიზნები, ამოცანები და აქტივობები

**მიზანი 1. მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დივერსიფიკაცია, ინფრასტრუქტურის განვითარება და გარემოს დაცვა.**

**ამოცანა 1.1.** მესტიის მუნიციპალიტეტში მდგრადი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მართვის ხელშეწყობა.

**აქტივობა 1.1.1.** მესტიის მუნიციპალიტეტში ენერგეტიკის სფეროს განვითარების სიღრმისეული კონცეფციის, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

**აქტივობა 1.1.2.** მესტიის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი დაფინანსებით პირველი მცირე ჰიდროელექტრო სადგურების შექმნა.

**აქტივობა 1.1.3.** მესტიის მუნიციპალიტეტში სოლარული სისტემების დანერგვის ხელშეწყობა.

**ამოცანა 1.2.** მესტიის მუნიციპალიტეტში ხე-ტყისა და გარემოს ეფექტური მართვის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა

**აქტივობა 1.2.1.** ხე-ტყის მდგრადი მართვის და დაცული ტერიტორიების კონცეფციის შემუშავება.

**აქტივობა 1.2.2.** მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიების შექმნა: უსგვირის ნაკრძალი.

**აქტივობა 1.2.3.** ხე-ტყის გადამუშავებიდან მიღებული ნარჩენების გადამამუშავებელი (ბრიკეტების) საწარმოს შექმნის ხელშეწყობა.

**აქტივობა 1.2.4.** მესტიის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის განხორციელება.

**ამოცანა 1.3.** მესტიის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

**აქტივობა 1.3.1.** ტურიზმის ინდუსტრიასთან დაკავშირებული სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება.

სამუშაო ვერსია

**აქტივობა 1.3.2.** ვიზიტორების კმაყოფილების დონის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება.

**აქტივობა 1.3.3.** ტურისტული  ბილიკების მოწყობა იდლიანში, ხაიშსა და ჭუბერში, ასევე დ.მესტიის  ჭალაადს, უშგული-შხარას მყინვარებამდე მისასვლელი და სხვა.

**აქტივობა 1.3.4.** საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

**აქტივობა 1.3.5.** ჰაწვალის კურორტის ინფრასტრუქტურის გამართვა.

**აქტივობა 1.3.6.** ახალი სათხილამურო ტრასების და საბაგირო გზების მშენებლობა.

**აქტივობა 1.3.7.** ტურისტულ-სარეკრეაციო პარკების მოწყობა ტურისტულად მიმზიდველ ადგილებზე, მ.შ. მესტიის ბულვარი, ბეჩოს შიხრას ტერიტორია.

**აქტივობა 1.3.8.** მესტიის მუნიციპალიტეტში ტყის სამთო ველობილიკების შექმნა.

**აქტივობა 1.3.9.** ახალ ტურისტულ ზონაში ბალნეოლოგიურისამკურნალო ინფრასტრუქტურის შექმნა.

**აქტივობა 1.3.10.** მატერიალური და ციფრული საინფორმაციო მასალების შექმნა (ტურისტული რუკების, გზამკვლევების, აპლიკაციების  და სარეკლამო რგოლების) შექმნა-განვითარება.

**აქტივობა 1.3.11.** სვანეთის  ბრენდინგის კონცეფციის შექმნა.

**აქტივობა 1.3.12.** ჭალაადის მყინვარისკენ მისასვლელი დაკიდული ხიდის კეთილმოწყობა.

**ამოცანა 1.4.** მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერი პროექტების განხორციელება ადგილობრივი ენდემური მარცვლეული ჯიშების და სხვა კულტურების აღორძინებისთვის.

**აქტივობა 1.4.1.** ადგილობრივი ფერმერებითვის ენდემური სათესლე მასალის დარიგება.

**აქტივობა 1.4.2.** ადგილობრივი წარმოების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ბრენდირება.

**აქტივობა 1.4.3.** მოსახლეობის მეხსიერებასა და წყაროებში შემორჩენილი ტრადიციულ ბუნებათსარგებლობის, მესაქონლეობის მიმართულებების დადებითი გამოცდილებების შეკრება და კრებულად გამოცემა.

**აქტივობა 1.4.4.** საზაფხულო იალაღებზე ქოხების მშენებლობის მხარდაჭერა და მანქანით მისასვლელი გრუნტის გზების მოწყობა.

**აქტივობა 1.4.5.** საქონლის მოშენების ხელშეწყობა ხელოვნური განაყოფიერებით.

სამუშაო ვერსია

**აქტივობა 1.4.6.** სასაწყობე/სამაცივრე მეურნეობის შექმნის ხელშეწყობა ( პროექტირება).

**ამოცანა 1.5.** მესტიის მუნიციპალიტეტში ურბანული განვითარებისა და საბაზისო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

**აქტივობა 1.5.1.** ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის გეგმის მომზადება და დამტკიცება.

**აქტივობა 1.5.2.** ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება.

**აქტივობა 1.5.3.** შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი - ჯვარი - მესტია - ლასდილის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

**აქტივობა 1.5.4.** ადმინისტრაციული ერთეულებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების რეაბილიტაცია.

**აქტივობა 1.5.5.** ხიდების რეაბილიტაცია.

**აქტივობა 1.5.6.** ახალი ავია ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობისთვის ტერიტორიის მოძებნა.

**აქტივობა 1.5.7.** მუნიციპალური ტრანსპორტის შეძენა.

**აქტივობა 1.5.8.** საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გაუმჯობესება.

**აქტივობა 1.5.9.** მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი სასმელი წყლით და წყალარინების სისტემის განვითარება.

**აქტივობა 1.5.10.** სველი წერტილების მოწყობა საზოგადოებრივ ადგილებში.

**აქტივობა 1.5.11.** აეროპორტის მიმდებარედ გარე განათების მოწყობა.

**ამოცანა 1.6.** საცხოვრებლად და ბიზნესისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, ბუნებრივი კატასტროფების და სტიქიური მოვლენების პრევენციის მექანიზმების დანერგვა.

**აქტივობა 1.6.1**. მყინვარების შესწავლა და ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვა.

**აქტივობა 1.6.2.** საზვავე უბნების დადგენა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

**აქტივობა 1.6.3.** ნაპირდამცავი გაბიონების და კედლების მშენებლობა.

**აქტივობა 1.6.4.** ღელეებისა და მდინარის კალაპოტების განტვირთვა.

**მიზანი 2. მესტიის მუნიციპალიტეტში განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და სოციალური სფეროების განვითარება.**

**ამოცანა 2.1.** მესტიის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ/ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის, პროფესიული განათლებისა და ახალგაზრდების კარიერული შესაძლებლობების გაუმჯობესება.

**აქტივობა 2.1.1.** სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია და მშენებლობა.

**აქტივობა 2.1.2.** სკოლის მოსწავლეების ტრნსპორტირება.

**აქტივობა 2.1.3.** მესტიის მუნიციპალიტეტის მკვიდრი სტუდენტების უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სწავლის დაფინანსება.

**აქტივობა 2.1.4.** მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის განხორციელება ახალგაზრდებისთვის.

**აქტივობა 2.1.5.** ტურიზმის პროფესიული განათლების ხელშეწყობა მესტიის მუნიციპალიტეტში (გიდების სკოლა).

**ამოცანა 2.2.** მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების (კოშკების, მაჩუბები) დაცვა.

**აქტივობა 2.2.1.** მესტიის მუნიციპალიტეტში კოშკებისა და მაჩუბების მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციის შექნა, პროექტირება და რეკონსტრუქცია/რესტავრაცია.

**ამოცანა 2.3.** მესტიის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

**აქტივობა 2.3.1.** სახელოვნებო, მუსიკალური და კულინარიული ფესტივალების განხორციელება.

**ამოცანა 2.4.** მესტიის მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

**აქტივობა 2.4.1.** მესტიის მუნიციპალიტეტში სპორტული ინიციატივების, ჩემპიონატებისა და მარათონების განხორციელება.

**აქტივობა 2.4.2.** დ.მესტიაში სპორტული კომპლექსის, ადმინისტრაციულ ერთეულებში კი სპორტდარბაზებისა და სპორტული მოედნების მშენებლობა.

**აქტივობა 2.4.3.** მესტიის მუნიციპალიტეტში (ბეჩოს თემში) სტანდარტული საფეხბურთო სტადიონის საპროექტო წინადადების მომზადება.

**აქტივობა 2.4.4.** მესტიის მუნიციპალიტეტში საცურაო აუზის საპროექტო წინადადების მომზადება.

სამუშაო ვერსია

**აქტივობა 2.4.5.** მესტიის მუნიციპალიტეტში რაგბის სტადიონის მშენებლობა.

**აქტივობა 2.4.6.** ტრადიციული სპორტის სახეობების (სვანური ჭიდაობა, ლ'ხმედ, ყანსგვ ი კეკე) პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

**ამოცანა 2.5.** მესტიის მუნიციპალიტეტში სოციალური და ჯანდაცვის სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდა.

**აქტივობა 2.5.1.** მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის გადასახური მასალით უზრუნველყოფა.

**აქტივობა 2.5.2.** ადმინისტრაციულ ერთეულებში ამბულატორიების მშენებლობა.

**აქტივობა 2.5.3.** მესტიის საავადმყოფოსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მომუშავე სამედიცინო პერსონალის უნარების განვითარება და მომსახურების შესყიდვა.

**აქტივობა 2.5.4.** მესტიის მუნიციპალიტეტში უსახლკარო პირების საცხოვრისით უზრუნველყოფა.

**აქტივობა 2.5.5.** რეანომობილის პერსონალის საცხოვრისით უზრუნველყოფა.

**მიზანი 3. მესტიის მუნიციპალიტეტში ეფექტური მმართველობის ხარისხის გაუმჯობესება.**

**ამოცანა 3.1.** მესტიის მუნიციპალიტეტში ძირითადი მუნიციპალური სერვისების დაფარვის არეალის გაზრდა.

**აქტივობა 3.1.1.** ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალური სერვის-ცენტერბის გახსნა.

**აქტივობა 3.1.2.** მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის ჩამოყალიბება.

**აქტივობა 3.1.3.** ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციონირების გაუმჯობესება.

**ამოცანა 3.2.** მესტიის მუნიციპალიტეტში საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სერვისების გაჩენა/განვითარება.

**აქტივობა 3.2.1.** საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის შექმნა.

**აქტივობა 3.2.2.** უფასო ინტერნეტი საჯარო სივრცეებში.

**აქტივობა 3.2.3.** სეტის მოედანზე შენობის შეძენა და მუნიციპალიური სერვისების განთავსება.

**აქტივობა 3.2.4.** საპარკინგე ადგილების მოწყობა დ.მესტიაში.

**აქტივობა 3.2.5.** პანდუსების მოწყობა დ. მესტიის მთავარ ტროტუარებზე.

სამუშაო ვერსია

**აქტივობა 3.2.6.** შინაურ ბინადარ (მიუსაფარ) ცხოველების დროებითი თავშესაფრის მოწყობა.

**აქტივობა 3.2.7.** საჯარო მოხელეების გადამზადება და გამოცდილების გაზიარება.

**ამოცანა 3.3.** ნარჩენების მართვის  სისტემის გაუმჯობესება.

**აქტივობა 3.3.1.** მოქმედ გეგმაში ცვლილების შეტანა ორგანული ნარჩენისა და გადამუშავებადი ფრაქციების მიმართულებით.

**აქტივობა 3.3.2.** არსებული არასტანდარტიზებული ნარჩენების სატრანსფერო სადგურისთვის ტერიტორიის შეძენაა და გზის მოწყობა.

**აქტივობა 3.3.3.** სამშენებლო ნარჩენებისთვის ახალი პოლიგონის ადგილის შეძენა.

**აქტივობა 3.3.4.** სტიქიური ნაგავსაყელების ალკვეთა.

**აქტივობა 3.3.5.** ცნობიერების ამაღლების აქტივობები.

**ამოცანა 3.4.** მესტიის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი საფრთხეების შემცირების მექანიზმების დანერგვა.

**აქტივობა 3.4.1.** საგანგებო სიტუაციების მართვის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბება.

**აქტივობა 3.4.2.** უსაფრთხოების პასპორტის შექმნა და  ყოველწლიური განახლება.

**აქტივობა 3.4.3.** საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შექმნა.

**აქტივობა 3.4.4.** დაბა მესტიაში 112-ის ცენტრის მოწყობა.

**აქტივობა 3.4.5.** ტყის სახანძრო უსაფრთხოებისთვის ადმინისტრაციულ ერთეულებში სახანძრო წყალსატევების შექმნა.

**აქტივობა 3.4.6.** რისკსაშიშ ზონებში (შავღელე, ჟაბეში, ქაშვეთი) ნიადაგის ეროზიის რისკების შემცირება.

**აქტივობა 3.4.7.** ბუნებრივი საფრთხეების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების აქტივობები.

**ამოცანა 3.5.** მესტიის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის შექმნა

**აქტივობა 3.5.1.** კონცეფციის ჩამოყალიბება

**აქტივობა 3.5.2.** მესტიის მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის შექმნა.

# თავი III – დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

## განხორციელების მექანიზმი – სამუშაო ჯგუფი და წევრები

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

**გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან** – პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

**პარტნიორობა** – პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

**კანონიერების პრინციპი** – ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა უმეტესი აქტივობებისთვის შეადგენს 2 წელს.

ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად

სამუშაო ვერსია

დასაგეგმად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მთლიანი დოკუმენტის შუალედური შეფასების ნაწილს წარმოადგენს.

შედეგად, შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, თუმცა საჭიროა აღნიშნული ცვლილებების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

## მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო

განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

**დროულობა** – ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.

**ფოკუსირებული** – ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.

**მკითხველზე ორიენტირებული** – ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.

